140
1976

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

8

1976



თამარ ზოლოხოვა, თითქოს ეფერება, სათუთად ფურჩნის ვაზს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქორჩორამუხელთა შრომითი საქმეები

მირონ ხერგიანი

კახეთი რომ ისტორიული ძეგლებით არის განთქმული, ეს ამბავი ყველამ მშვენივრად უწყის. ეს შუამთაო, ბახტრიონი, ალავერდი და თეთრი გიორგიო, კვეტერა და იყალთო... მაგრამ ძალიან ცოტა ვინმეს სმენია, ალბათ, ერთ-ერთი ისტორიული ადგილის მეტად პოეტური სახელი — ქოჩორა მუხა. მხედველობაში მაქვს, რა თქმა უნდა, არაკახელები, თორემ აქ ვისაც უნდა ჰკითხო, ქოჩორა მუხა სად არისო, და მით უმეტეს თელავის რაიონის მკვიდრი თუა იგი, მაშინვე მიგასწავლის და თან ამ შესანიშნავ ადგილთან დაკავშირებული ლეგენდათქმულების მოსაყოლად მოემზადება...

და აი ბანაკი, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, სწორედ ამ ქოჩორა მუხის სახელობისა გახლავთ, იმ ბანაკის პიონერ-მოსწავლეები კი თავიანთ თავს ქოჩორამუხელებს უწოდებენ. და, მართლაც, საოცრად უდგება ეგ მხატვრული სახელი სიცოცხლითა და ხალისით აღსავსე ბიჭუნებისა და გოგონების ბანაკის განწყობილებასა და ატმოსფეროს.

ცივ-გომბორის მთის სამხრეთის კალთებზე, ალაზნის ველის განაპირას, სოფ. ქვემო ხოდაშნის თავში მაყვლიან წარაფზე მედიდურად შრიალებს სამასი წლის მუხა. გუშაგივით გადმოსდგომია იგი ალაზნის ველის ბარაქიან სანახებს, თითქოს მომხვდურთაგან იცავსო აქაურ ზვრებსა და ვენახებს, ხალხსა და სოფლებს, და რაღა თითქოს, მართლაც ასე იყო ძველად. როგორც ლეგენდა მოგვითხრობს, სწორედ ამ შემაღლებულ ადგილას იდგა ერთ-ერთი მორიგი საგუშაგო. სამხრეთიდან თუ ჩრდილოეთიდან შემოსეულ მტერს ჯერ გრემელები ხვდებოდნენ ცეცხლითა და ზარების რეკვით, მერე ხოდაშნელები დაანთებდნენ ქოჩორა მუხის მოედანზე საგანგაშო კოცონს და უკვე მთელი კახეთისთვის ნათელი ხდებოდა, რომ საერთო უბედურება დაატყდა თავს ქვეყანას. ასე და ამრიგად მრავალჯერ შეუკრებია ქვეყნის გადასარჩენად ქოჩორა მუხაზე დანთებულ კოცონს „ნარჩევი ვოჟები"... უხსნია ქვეყანა გაჩანაგებისაგან. ამიტომაც იყო, გა მარჯვებული ლაშქარი აქ შეიყრ ბოდა ხოლმე ომის მერე და მეომარ



თამაში ერთობ დაიძაბა...
ლელავენ ნორჩი ფრენბურთელებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ომახიანი „მრავალჟამიერის“ მქუხარე ჰანგები აქედან დიდი ალაზნის ველს, კახეთის მთასა და ბარს მოეფინებოდა...

ჩვენ რომ ვეწვიეთ ქოჩორამუხელებს, მაშინაც სიმღერის ჰანგებში იყო გახვეული იქაურობა, თითქოს ის გამარჯვებული მეომრები შეურილიყვნენ კვლავაც და ძველ მამაპაპურს აგუგუნებდნენ...

რა თქმა უნდა, ეგ მხოლოდღა წამიერი მოჩვენება გახლდათ, მაგრამ არცთუ მხოლოდღა შიშველი ფანტაზიის ნაყოფი. იმ მეომართა შთამომავალნი — შრომისა და სწავლის ნორჩი გმირები ახმიანებდნენ არემარეს, ქოჩორა მუხის წარაფებსა და მისადგომებს. 450-მდე მოსწავლეს მოეყარა აქ თავი — აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონის წარმომადგენლები ერთ ოჯახად გაერთიანებულიყვნენ, მხარდამხარ შრომობდნენ და ისვენებდნენ, უფროსთა სასახელო საქმეებს აგრძელებდნენ. ქოჩორა მუხის ბანაკში შრომის, გართობა-დასვენებისა და სწავლის მართლაც რომ ყველა პირობაა შექმნილი. უშველებელ ტერიტორიაზე განლაგებულ ორ და ერთსართულიან კორპუსებში თანამედროვე სასწავლო ხელსაწყოებითა და ინვენტარით აღჭურვილი სხვადასხვა კაბინეტები, ოქტომბრელთა, პიონერთა თუ წითელი კუთხეები, გართობისა და დასვენების ოთახები, ყველაფერი ეს ბავშვთა აღზრდას, მათ სწორ პროფორიენტაციას, შინაარსიან დასვენებას ემსახურება. ის კი არა, ქოჩორამუხელთა ბანაკი განლაგების სტრუქტურითა და მრავალდარგოვანი სამოსწავლო მეურ-

პიონერი

8

აგვისტო

1976

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



ზურაბ თვალიაშვილს ვენახის შეწამვლა მიანდეს...

ნეობით უმაღლეს სასწავლებელს მოაგონებს ადამიანს. ბანაკს აქვს თავისი კინოდარბაზი, საკუთარი კინოსაპროექციო დანადგარი, საინტერესო, საგანგებოდ შერჩეული კინოსურათები და ჰყავს აქვე სახელდახელოდ მომზადებული კინომექანიკოსები. ეს კი არა, ხანდახან საინტერესო სურათების საყურებლად აქ სოფლელებიც შემოიპარებიან ხოლმე... ერთგან კი, რაღა ერთგან, ნორჩ მეხანძრეთა ოთახში უცნაური სანახაობის მოწმენი გავხდით — მეხანძრეთა კლუბის წევრები — ბესიკ სამადაშვილი, არჩილ მჭედლიშვილი, აკაკი გაიხარაშვილი, რეზო რატიანი, გია მესხი, თორნიკე ადეიშვილი და სხვები ნამდვილ, წითლად მოლაპლაპე სახანძრო წყალსატუმბ მოწყობილობას შემოხვეოდნენ და გულდასმით ეუფლებოდნენ მის ხმარებას.

— ჩვენ უკვე შევადგინეთ ხანძრის შემთხვევაში კორპუსებიდან ხალხის გახიზვნისა და ინვენტარის გამოზიდვის გეგმა... — ამბობს ნორჩი მეხანძრე დათიკო მენაბდიშვილი. კოცონის, ეგრეთ წოდებული ხანძრის ჩაქრობაზე არაერთხელ გამოვცადეთ საკუთარი ძალები... ჩვენ რომ ველად ხანძრის ჩაქრობაზე ვმეცადინეობთ, ბავშვები ყველა სხვა საქმეს ანებებენ თავს, იმდენად საინტერესო სანახაობაა, — თავმომწონედ ილიმება დათიკო.

ბანაკის ტერიტორიაზე არის ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის მოედნები, შემოსასვლელში გაშენებულია ყვავილნარი, სადაც მეტწილად გოგონები დაფუსფუსებენ, აი, ერთი მათგანი, ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე ნათელა აბულიძე ვარდის ბუჩქებთან ჩაცუცქებულა და ნიადაგს უფხვიერებს ყვავილებს.

— ჩემს მშობლიურ სოფელში, ალვანში, ვერაფერი რომ ვერ ისწავლო ადამიანმა, ბუნების სიყვარული მაინც გაგიჯდება ძვალ-რბილში, — ამბობს ჩვენთან საუბარში ნათელა, — აქაც გამომყვა ეს გრძნობა, მეგობართა წრეში კიდევ უფრო ცხოველი ხდება მშობლიური კუთხის სიყვარული. წიგნების კითხვა ძალზე მიტაცებს, მრავალ ისტორიულ ძეგლზე მქონდა წარმოდგენა, ახლა კი ბანაკში მოწყობილი ექსკურსიების მეშვეობით კიდევ უფრო განვიმტკიცე ის შთაბეჭდილება, უფრო უკეთ შევიცანი საქართველოს წარსული და მისი დღევანდელობა.

ქოჩორა მუხის ბანაკი ერთობ

# შენი პიონერული წვლილი შენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობარო, ახლა ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებული აღმავლობა, შემოქმედებითი აღმაფრენა სუფევს. საქართველოს კომპარტია, მთელი ქართველი ხალხი უმაგალითო ენთუზიაზმით ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებას „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. აღნიშნულ დადგენილებაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს მშრომელებმა რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელობით ძალზე დიდი მუშაობა გასწიეს, რომ დაეძლიათ მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში არსებული ჩამორჩენა. გაუმჯობესდა ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი, გაიზარდა პროდუქციის წარმოება, შესრულებულია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების დამზადების ხუთწლიანი გეგმები; აშენდა ახალი საწარმოები, წარმატებით სრულდება საბინაო მშენებლობის გეგმები, შენდება მეტი საბავშვო დაწესებულება, სკოლა, გაუმჯობესდა მშრომელთა სამედიცინო მომსახურება.

საქართველოს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადამწყვეტი ბრძოლა გაშალა კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების ლენინური პრინციპების დაცვისათვის. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია მთელ ამ დიდ დაძაბულ მუშაობაში ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს უთმობს ბრძოლას მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, მაღალი საზოგადოებრივი იდეალებისადმი რწმენის განმტკიცებისათვის, კომუნისტური ზნეობის ნორმების დანერგვისათვის ცხოვრებასა და შრომაში. მიმდინარეობს მრავალმხრივი მუშაობა, რათა კომუნისტებსა და კომკავშირელებს, მუშებსა და კოლმეურნეებს, ინტელიგენციასა და ახალგაზრდობას ჩაუნერგონ კომუნისტური იდეურობა, მაღალი პოლიტიკური შეგნებულობა, საზოგადოებრივი აქტივობა, საბჭოთა პატრიოტიზმი და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, შრომისა და სახალხო დოვლათისადმი შეგნებული დამოკიდებულების, საერთო საქმისათვის პასუხისმგებლობის სულისკვეთება. შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა მეშჩანურ, ნაციონალისტურ გამოვლინებებს, მომხვეჭელობას, მავნე, დრომოჭმულ ზნე-ჩვეულებებს, რელიგიურ ცრურწმენას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებაში საგანგებოდ არის აღნიშნული საშუალო და უმაღლესი განათლების სფეროში მიღწეულ დადებით ძვრებზე.

„გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები სახალხო განათლების შემდგომი სრულყოფისათვის, — ნათქვამია დადგენილებაში. — თანდათან ხდება უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მიღების დროს დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრა, შესამჩნევად გაუმჯობესდა სტუდენტობის შემადგენლობა, სადაც თითქმის ერთიორად გაიზარდა იმ ქალიშვილებისა და ჭაბუკების ხვედრითი წონა, რომლებიც სასწავლებლად მოვიდნენ წარმოებიდან და საბჭოთა არმიის რიგებიდან. მეტი ყურადღება ეთმობა სტუდენტთა და მოსწავლეთა პროფესიული მომზადებისა და აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებას“.

მიღწეული წარმატებების აღნიშვნასთან ერთად სკკპ ცენტრალური კომიტეტი საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას ამახვილებს ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმის — რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელობით მთელ თავიანთ შემოქმედებით ენერგიას მოახმარენ კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვებას, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, შემოქმედებითი ენთუზიაზმითა და შრომითი აღმავლობით წარმართავენ ბრძოლას მეათე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების გადასაჭრელად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მთელმა ქართველმა ხალხმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ, მათი გაწეული მუშაობის ეს მაღალი შეფასება მიიღეს, როგორც საბრძოლო პროგრამა, რომელიც თვითეული კომუნისტისაგან, ყველა პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვს ნამდვილი ბოლშევიკური თვითკრიტიკულობით, პარტიული და მოქალაქეობრივი დაინტერებით შეაფასონ მიღწეული დადებითი ძვრები, მიიჩნიონ ისინი საწყისად, პირველ ნაბიჯებად რესპუბლიკაში მიმდინარე პოზიტიური პროცესების გაღრმავებისა და გაფართოების გზაზე, დაუთმონ მთავარი ყურადღება გადაუჭრელ პრობლემებსა და სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც რესპუბლიკის ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გვხვდება.

აღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანები უნდა გადაიქცეს რესპუბლიკის თვითეული მშრომელის მოქმედების სახელმძღვანელოდ და მისი დებულებანი — მშრომელთა აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ქართველი კომუნისტები, მთელი ქართველი ხალხი ამ დადგენილებას ლებულობენ, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დიდი ზრუნვის ახალ გამოვლინებად და კიდევ უფრო მეტად გაირჯებიან ლენინური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

# რესპუბლიკის ცხოვრების წინსვლაში

**ნორჩო მეგობარო,** ჩვენ საგანგებოდ ვრცლად მიმოვიხილეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომ შენ უკეთ გარკვეულიყავ, უკეთ ჩასწვდომოდი შენი მშობელი ხალხის, შენი დედ-მამის, უფროსი და-ძმების წინაშე დასახულ ამოცანებს ამ ისტორიული დადგენილების დასკვნებისა და სულისკვეთების შესაბამისად მუშაობის წარმართვაში.

**დღეს** შენ ბავშვი ხარ, ხვალი კი — საბჭოთა მოქალაქე; ხვალ შენს ხელში გადმოვა ქვეყნის ეკონომიკის ყველა უბანი. იმაზე, თუ როგორი მეურნე დადგები შენ, როგორ წარუძღვები დაკისრებულ საქმეს, დამოკიდებული იქნება ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე, შენი შრომის შედეგები განსაზღვრავს, თუ რამდენად შეძლებულად იცხოვრებს ხალხი, რამდენად დოვლათიანი იქნება ქვეყანა.

**ახლა,** როდესაც ჩვენი რესპუბლიკის თვითეული მოქალაქე განსაზღვრავს თავის ადგილს ნათელი კომუნისტური იდეალებისათვის საერთო ბრძოლაში და თვითეული მათგანი ცდილობს დღეს უკეთ იმუშაოს, ვიდრე გუშინ, ხოლო ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს, შენ, ბუნებრივია, დაგებადება კითხვა: როგორი უნდა იყოს ჩემი წვლილი, სად არის ჩემი ადგილი და კონკრეტულად რა საქმეებით უნდა ავუბათ მხარი მე და ჩემმა ტოლებმა უფროსებს?

**რა თქმა უნდა,** შენი უპირველესი ვალი სამშობლოს წინაშე, შენი გმირობა — ეს ფრიადზე სწავლაა; სწავლის წლებში საფუძვლიან ცოდნას უნდა დაეუფლო, მოიმზადო ნიადაგი შემდგომში უახლეს მეცნიერულ და ტექნიკურ მიღწევათა დასაუფლებლად.

**ბეჯითად** სწავლასთან ერთად, აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობასაც უნდა ეწეოდე, შენი სკოლის, კლასის, პიონერული რაზმეულის, რაზმისა თუ რგოლის საქმე გულთან ახლოს უნდა მიიტანო, იყო ახლისა და საინტერესოს წამომწყები და მოთაეე; დაეხმარე სუსტსა და ჩამორჩენილს, გასაქანი არ მისცე შურს, ყოყოჩობას, თავკერძობას; აქედანვე, მოსწავლეობის წლებშივე, გამოიმუშავე თვითდისციპლინა, ისწავლე დროს დაფასება. იცოდე, ადამიანისათვის უდიდესი დანაკარგი ფუჭად დაკარგული დროა. იცოდე, ყოველ საქმესთან, რასაც ხელს მოკიდებ, გულით უნდა მიხვიდე. უგულოდ ვერაფერს ღირებულს ვერ შექმნი. იყავი შენს გვერდით მყოფისთვის ყოველთვის მაგალითის მიმცემი; ყოველი ღონე მოახმარე სახალხო დოვლათის დაცვასა და გამრავლებას, გაუფრთხილდი მამა-პაპათა გონებითა და მარჯვენით შექმნილს; გულგრილად ნუ ჩაუვლი ფოთოლშემხმარ ნერგს, წაქცეულ სიმინდის ღერს, უსულგულოდ დაგდებულ პურის ნატეხს და ზრუნვადაკლებულ სიძველის ძეგლს. გახსოვდეს, მცირედი ქმნის დიდს. დღეს, შრომითი მეოთხედების დროს, შენი და შენი თანატოლების მიერ მოკრეფილი ჩაის ფოთოლი, პურის თავთავი, ყურძენი, ხილი თუ ნამჯა მნიშვნელოვანი შენამატია საერთო სახალხო დოვლათში. მაგრამ ყველაზე დიდმნიშვნელოვანი შედეგი ამ შრომითი მეოთხედებისა ეს არის ის, რომ აქ, ამ საკოლმეურნეო მინდვრებზე, მეცხოველეობის ფერმებსა, საბჭოთა მეურნეობების ბაღვენახებსა და სამშენებლო მოედნებზე შენ პირველად ეზიარები კოლექტიური შრომის დიდ სიკეთეს, შეიძენ საერთო საქმისადმი პატივისცემის გრძნობას, გამოიმუშავებ მონდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის აღზრდის პირველ ჩვევებს. მუდამ უნდა გახსოვდეს ჩვენი პიონერული მარშის დევიზი „კომუნისტებისაგან ვიღებთ მაგალითს". შენს გვერდით—სკოლაში, საზაფხულო დასვენებისა თუ შრომითი მეოთხედების დროს ყოველთვის არიან ადამიანები, რომელთაც თავიანთი მაღალი ზნეობით, სამშობლოსადმი უსაზღვრო თავდადებითა და პატრიოტული შრომით საყოველთაო აღიარება და პატივი დაიმსახურეს. დააკვირდი მათ, გაეცანი მათ შრომასა და ცხოვრებას და თვითონვე დარწმუნდები, რომ მათი წარმატების საიდუმლოებაა არჩეული პროფესიისადმი ერთგულება, თავდაუზოგავი შრომა და ზნეობრივი სიწმინდე.

**„არცერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით!"** — ასეთია ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ერთ-ერთი მოწინავე კოლექტივის — რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობის დევიზი. მათ საქართველოს მრეწველობის საწარმოთა მუშებსა და მოსამსახურეებს, ყველა მშრომელს მიმართეს გამოეხმაურონ ამ თაოსნობას.

**ეს მიმართვა** ასევე გეხებათ შენ და შენს ყველა თანატოლს. „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი შენს გვერდით!"

**პიონერული შეუპოვრობით,** სიმტკიცით იბრძოლე ამ დევიზის ცხოვრებაში გასატარებლად. თანატოლებთან ერთად მხარში ამოუდექი უფროსებს, შეიყვარე და ამაგი დასდე მშობლიურ კოლმეურნეობას, სოფელს, ქალაქს, აქტიური მონაწილეობა მიიღე მეცხოველეობისათვის საკვების დამზადებაში. ჩაები ოპერაცია „მრავალძარღვაში", რომელიც მიზნად ისახავს სამკურნალო მცენარეებისა და ხილ-კენკროვანთა შეგროვებას, მონაწილეობა მიიღე ვენახის ფართობისა და ყურძნის მოსავლის გაზრდაში. ხოლო როდესაც სექტემბრის ზარი დარეკავს, შრომაში გაკაჟებულ-გამოწრთობილი მიუჯექი სასკოლო მერხს და ახალი ენერგიით მოკიდე ხელი სწავლას. პარტიისა და სამშობლოს ზრუნვას და ამაგს ფრიადზე სწავლით, მაღალი დისციპლინით, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით უპასუხე.

**წარმატებას გისურვებთ ქვეყნის საკეთილდღეოდ სწავლასა და გარჯაში!**

...ასრული. დას. ის. 1 გვ.

პოპულარულია ჩვენს რაიონში... — მერე ნათელა გვაცნობს თანაკლასელ გოგონას მაია წომიკურიძესა და სხვა თანასოფლელებს...

— უკვე მესამედა ვარ ამ ბანაკში, — გვეუბნება თელავის მე-8 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე მანანა ძამუკაშვილი. — მართლაც მშობლიური სახლივით ძვირფასი გახდა ბანაკი ჩემთვის. ეს ალბათ იმიტომაც არის, რომ პატარებს აქ ბევრი კარგი საქმე გვაქვს გაკეთებული, ასე ვთქვათ, ჩვენი წვლილი გვაქვს შეტანილი მის კეთილმოწყობასა და გამშვენიერებაში...

აი, ფერდობებზე ნაძვნარს ხომ ხედავთ, ჩვენი დარგული და გახარებულია... ეს მოედანი კი ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ მოვასუფთავეთ...

— როგორც აქაურ მკვიდრს, კარგად მახსოვს, მთელი ეს ფერდობი გაუვალი ეკალ-ბარდებით იყო მოფენილი, — ჩაერია საუბარში ქვემო ხოდაშნის პირველი საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე არჩილ მჭედლიშვილი. — ბავშვობაში ცელქებს უფროსები გვაშინებდნენ კიდეც — აი, იქ რომ ბარდებია, მანდაური ეშმაკები შეგჭამენო. ეშმაკები არადა, ქვეწარმავლების ნამდვილი საბუდარი კი იყო, აბა, ახლა გახედეთ...

მთლიანად ჩვენი გაწმენდილია აქაურობა, ბევრი სისხლი დაგვდინდა ნაკაწრებიდან, მაგრამ საქმე მაინც გავაკეთეთ... სოფლელთა სიყვარული და პატივისცემა დავიმსახურეთ...

— და განა მარტო ეს! — მობურთალებმა თავი ანებეს თამაშს, ჩვენს საუბარს მოაყურადეს, მერე ერთი მათგანი, სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი გურჯაანის რაიონის ველისციხის საშუალო სკოლის მოსწავლე ოლია გაძვერაშვილი საუბარს აგრძელებს: — არა მარტო ეს ადგილები, სოფლის გარშემო რაც გამოუსადეგარი და დაბურდული წარაფებია, სულ ჩვენი დამუშავებულია, გავამზადებთ ნიადაგს საბოსტნედ, შევატყობინებთ ამის შესახებ კოლმეურნეობას და ისინიც მსურველებს, თავიანთ წევრებს უნაწილებენ საკარმიდამო ნაკვეთებად. ჩვენი დამუშავებული ადგილით ბევრს უსარგებლია, ყველა მათგანი ვალშია ჩვენს ბანაკთან, ამიტომაც არის, რომ ასე ვუყვარვათ აქაურებს...

ბანაკში არიან რუსთაველი და თბილისელი მოსწავლეები. და ეს გამონაკლისი შემთხვევა როდია, ზოგიერთი მათგანი მესამედ და მეოთხედაც არის ჩამოსული ქოჩორა მუხის ბანაკში დასასვენებლად...

რუსთაველი მოსწავლე ლალი რატიანი, თბილისის 80-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე მზია დაბრუნდაშვილი და ხოდაშნის საშუალო სკოლის მოსწავლე თამარ ესიტაშვილი იგონებენ პოლონელების სტუმრობას ბანაკში. დიახ, ბანაკს დამყარებული აქვს მეგობრობა ვარშაველ პიონერებთან, ისინი ყოველწლიურად ჩამოდიან კახეთში. წლეულსაც დიდ მოლოდინში არიან მოსწავლეები. თამარი თავისი პოლონელი ამხანაგებისაგან მიღებულ წერილებსა და სურათებს გვიჩვენებს, ეამაყება, შეხედეთ, როგორი მეგობრები მყავსო...

წუთით ჩვენი საუბარი წყდება. გაისმის საყვირის საგანგაშო ხმა. საქმის ვითარებაში გარკვეული მოსწავლეები გაოცებულ სახეებზე გვაჩერდებიან.

ერთხანს მართლაც ყველაფერი გაუგებარია ჩვენთვის. [illegible]ანი ბავშვები მინდორზე გარბიან, უკან საკაცემომარჯვებული ამხანაგები მისდევენ. მეწინავეები მოზრდილი კუბებით საზღვრავენ საშიშ ზონებს... მალე „დაჭრილები“ და „გულწასულები“ სახელდახელოდ მოწყობილ საველე ჰოსპიტალში ჩამოჰყავთ, მათ თავს დასტრიალებენ ექიმები და მედდები...

წუთით მართლაც უხერხული სიჩუმე ჩამოვარდება. ნათელი ხდება, რომ ეს საჰაერო თავდაცვის რაზმის მორიგი მანევრები, საწვრთნელი „თამაშებია“...

მერე თამაში მთავრდება. კვლავ ჩაღდება მხიარული გართობა, ბესიკ სამადაშვილი, ზურაბ წომიკურიძე, აკაკი გაიხარაშვილი და სხვები აირწინაღებს იძრობენ, სპეცტანსაცმელს ეხდიან, მათი კოლეგა, ქვემოალვანელი მოსწავლე, სიმღერაში რესპუბლიკური ოლიმპიადის ოქროსმედალოსანი ლუხუმ პატარაშვილი კი მეგობრების თხოვნით წრეში დგება და „მრავალჟამიერს“ იწყებს.

პატარების სიმღერა მაცოცხლებელი ნაკადულივით დაუვლის ალაზნის სანახებს, ველ-მინდვრებს. მასში გახსახიერებულია ამ ზვრებისა და ვენახების შემოქმედთა წარსული, დღევანდელობა და მომავალი.

„მრავალჟამიერი“ ხომ ერთად ალებული სამი დროის — წარსულის, აწმყოსა და მომავლის სიმღერაა — წინაპართაგან რწმენად და იმედად, ოცნებად გადმოსული შთამომავლობაზე.

ფოტო ვ. ბორისენკოსი.



სიმინდის ყანებს შეესივნენ პიონერები...



„წყალს ნაფოტი ჩამოაქონდა...“ — უკრავს გარმონი, ხალისიანი ცეკვა გააჩაღეს პატარებმა.



# Cogito ergo sum!

ნუგზარ აფხაზავა

ფანტასტიკური მოთხრობა

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე.

— ალბათ უკანასკნელი ღონე უნდა ვიხმარო. ეს მითხარით, თქვენ, მხოლოდ ორი ასტრონავტი, შეძლებთ ხომალდის მართვას?

— ჩვენი ხომალდისას?

— დიახ, თქვენი ხომალდისას.

**უმცროსი აორდელი:** — რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა!

(უფროსმა უკმაყოფილოდ გადახედა — აჩქარება თუ დაუწუნა).

**უფროსი აორდელი:** — ძნელია... მაგრამ მეტი რა გზაა. თქვენ თუ აქედან თავს დაგვაღწევინებთ, აორდამდე როგორმე მივიტანთ სულს.

**მე:** — კეთილი. მაშინ საქმეს შევუდგეთ.

**უფროსი აორდელი:** — ჯერ არ ვიცი, რა გადაწყვიტეთ, მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ: ათ წუთში ცეფეიდის აქტივობის პერიოდი დაიწყება და პლანეტაზე გაწყდება ყოველგვარი შორეული რადიოკავშირი. ასე რომ, თუ ჩვენი მიკროსადგურის გამოყენებას აპირებთ...

**მე:** — თქვენ ამბობთ, რომ აქტივობა ათი წუთის შემდეგ დაიწყება?

**უფროსი აორდელი:** — დიახ.

**მე:** — მაშასადამე, თუ ჩვენ გავაღწევთ, საბჭო და უზენაესი ამის შესახებ ერთ საათზე ადრე ვერ გაიგებენ, რადგან აქედან სტატანუსამდე მიფრენას რეაქტიული თვითმფრინავი საათზე მეტს მოუნდება. ასე არ არის?

**უმცროსი აორდელი:** — სავსებით სწორია!

**მე:** — მაშინ მე ვიცოდე და ჩემმა „ფარნავაზმა"...

## 8. „ფარნავაზი"

გადაწყვეტილება, რომელმაც აორდელებთან საუბრის ფინალი და ჩემი შემდგომი მოქმედება განსაზღვრა, თავში როგორღაც სწრაფად და ძალდაუტანებლად მომივიდა.

საათის სამაჯური, რომელშიც იახტის კომპიუტერზე ორიენტირებული რაცია მქონდა ჩამონტაჟებული, ტუჩებთან მივიტანე და ხმადაბლა, მაგრამ მკაფიოდ გამოვკვეთე:

— იახტა „ფარნავაზს" უხმობს ასტრონავტი უტა ფაზია! მე უტა ფაზია ვარ და ვუხმობ იახტა „ფარნავაზის" მთავარ კომპიუტერს! ვბრძანებ: ათი წუთის შემდეგ — სტარტი აეროდრომიდან: ფრენის სიმაღლე — ორი ათასი მეტრი; ფრენის მიმართულებას განსაზღვრავს კომპიუტერი Sos სიგნალის პელენგის მიხედვით — სიგნალი გადაიცემა განუწყვეტლივ ათი წუთის განმავლობაში. ხომალდი უნდა დაეშვას ზუსტად რადიოსადგურის თავზე. ვიმეორებ... — ვიდრე მე ბრძანებას გავიმეორებდი, უმცროსი აორდელი მოსწყდა ადგილს. მივხვდი, რომ იგი რადიოსადგურს მიაშურებდა და Sos სიგნალის გადაცემას განაახლებდა.

აორდელი ასტრონავტები არ შემცდარან — ათი წუთის შემდეგ აქამდე მიბინდული RT Cop ცეფეიდი ისე აკაშკაშდა, რომ, როგორც შუადღის მზეს, თვალს მასაც ველარ ვუსწორებდი. უმცროსი აორდელი მალე შემოგ-

დასასრული იხ. „პიონერი" № 6, 7.

ვიერთდა. რადგან Sos სიგნალის გადაცემას არავითარი აზრი აღარა ჰქონდა. საათს დავხედე — ჩემი „ფარნავაზი“ ახლა, ალბათ, უკვე ჰაერში იყო. იმ ორმოციოდე წუთში, იახტას ჩვენამდე მოსაღწევად რომ დასჭირდა, მე და აორდელმა ასტრონავტებმა ზოგიერთი ძვირფასი ინფორმაციის ურთიერთგაზიარება მოვასწარით. პლანეტა აორდა თურმე დაახლოებით სატურნის ტოლი ყოფილა. მის მოსახლეობას, რომელიც ასაკით ჩვენს ცივილიზაციაზე ოდნავ უფროსი აღმოჩნდა, დედამიწისა არ იყოს, არსებობის მძიმე და რთული გზა გაუვლია და ათობით სისხლისმღვრელი ომი გადაუტანია, ვიდრე თანამედროვე დედამიწისეულის მსგავს საზოგადოებასააშენებდა. ვერ ვიტყვი, აორდელების მეცნიერებას ჩვენთვის ძალიან გაუსწრია-მეთქი, მაგრამ ორი მიმართულებით — ტრანსმატერიალიზაციისა[1] და გენეტიკის ხაზით — მათ შესაშური შედეგებისთვის მიუღწევიათ. თურმე ორივე დარგი ჯერ პირველ ნაბიჯებს დგამს, მაგალითად, ჯერ მხოლოდ მცირე მასის სხეულთა ტრანსმატერიალიზება შეუძლიათ და ისიც მხოლოდ მცირე მანძილზე. მაგრამ, აკი ნათქვამია, სახარე მოზვერს სასკორეში შეეტყობაო, დასაწყისი ისეთია, რომ მალე, ალბათ, დიდი შედეგებიც უნდა მოჰყვეს... ასეთივე ვითარებაა გენეტიკაშიც, რომელსაც ცალკე მეცნიერებად გამოჰყოფია ჰომოგენერაცია[2]. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ორ დამოუკიდებელ დარგად განტოტებულა: პირველი მათგანი ჩვენებური კიბორგების გზას მიჰყვება, ესე იგი სხეულის სხვადასხვა ნაწილების (ფილტვების, ღვიძლის, თირკმლების, გულისა და ა. შ.) თანდათანობით შეცვლით აყალიბებს გამძლე, ამტან, გარემოსთან შემგუებელ ორგანიზმს; მეორე გზა უფრო მეთოდური და თანმიმდევრულია: ორგანიზმის აგება იწყება თვით საძირკვლიდან — უჯრედიდან, რომელიც ხელოვნურად არის მიღებული ურთულესი ქიმიურ-ბიოლოგიური რეაქციების შედეგად, ხელოვნურია (მაგრამ სავსებით ბიოლოგიური დედნის იდენტური) ძვალი და ხორცი, ძარღვი და სისხლი, ზურგისა და თავის ტვინი... მეორე გზით შექმნილ ორგანიზმს, პირველთან შედარებით, მაღალი აზროვნების დონე ახასიათებს, ამასთან, რაც არსებითია, უცხო და მკაცრ გარემოს კიბორგზე უფრო სწრაფად და მკვიდრად ეგუება.

ჩვენი ორმოცწუთიანი საუბრის ბოლოს აორდელებმა ფრიად დიდი განცვიფრება გამოთქვეს სტატანუსზე მომხდარი სწრაფი ცვლილებების გამო. სახელდობრ, ძალზე უცნაური მოეჩვენათ ამ პლანეტაზე გონიერი სიცოცხლის ესოდენ მოულოდნელი აღმოცენება და გრიგალისებური განვითარება. ეს ხომ მეც მაოცებდა და ის იყო, ამის თაობაზე ჩემი ეჭვის გამოთქმა დავაპირე, რომ შორიდან ყრუ გუგუნი მოისმა. სამივემ ყური ვცქვიტეთ და ჩრდილოეთს მივაჩერდით. მალე რუხ ბინდბუნდში ჩემი იახტის ნაცნობი კონტური გამოიკვეთა. „ფარნავაზი“ სწრაფად ახლოვდებოდა. მისი გამოჩენიდან ხუთი წუთიც არ გასულა, რომ თავს ოთხი მძლავრი ფოტონური რეაქტორის გავარვარებული ხახა დაგვადგა. რეაქტორების გრუხუნისაგან ყურთასმენა აღარ იყო და მე ხელით ვანიშნე აორდელ კოსმონავტებს, აქაურობას გავერიდოთ-მეთქი. მერე ისე, რომ იახტისათვის თვალი არ მომიშორებია, საათი ტუჩებთან მივიტანე და ჩავძახე:

— მე უტა ფაზია ვარ. ვუბრძანებ „ფარნავაზის“ მთავარ კომპიუტერს: ნელი სიჩქარით დაეშვი [illegible]ლად. ვიმეორებ...

„ფარნავაზს“ კარნახი აღარ დასჭირებია, [illegible] ნელა ეშვებოდა ძირს. მისი ყოველი მანევრი ზუსტი იყო, ისეთი ზუსტი, თითქოს თვითონ ვმჯდარიყავი მართვის პულტთან... მიწა ზანზარებდა, სხეულის ყოველი ნაწილი ვიბრაციამ აიტანა. მალე გამჭვირვალე თალფაქის ჭერის სიბრტყემ რეაქტორების ფოტონური ნაკადის შეხების ადგილას ფერი იცვალა, გაყვითლდა და გალხვა. მაშინვე იქ ფართო, კიდეებშერუჯული ხვრელი გაჩნდა. იახტამ ხვრელი გაიარა და მშვიდად შეეხო მიწას. რეაქტორები მყისვე გამოირთო და უცებ დიდი სიჩუმე ჩამოწვა.

— აბა, სწრაფად, მეგობრებო! — მთელი ძალით დავიყვირე, რადგან ყურში ისევ იახტის გუგუნი მედგა და ვშიშობდი, ასტრონავტებს ვერ გავაგონებ-მეთქი. ისინი ჩემთან ერთად მოსწყდნენ ადგილს, იახტასთან მივვარდით. მთავარი საძრომი უხმაუროდ გაიხსნა. კიბე ავირბინე, ტანმორჩილ აორდელებს ამოსვლაში მივეშველე, მართვის პულტს მივუჯექი და მალე ნელი სვლით მშვიდობიანად გავცდით თალფაქის ჭერში გაჭრილ ხვრელს. სულ ხუთიოდე წუთი დასჭირდა აორდელთა ხომალდთან მიფრენას. ვიდრე ჩემი ახალი მეგობრები ხომალდში შევიდოდნენ, იქვე, შორიახლოს, ჰაერში „ვეკიდე“, ხოლო როცა შავი ელიფსოიდის მრგვალი საძრომი მიიხურა, ღილაკს თითი დავაჭირე და ოთხივე რეაქტორი მთელი სიმძლავრით ჩავრთე. პლანეტა სტატანუსი ნელინელ ჩაეშვა ძირს. მაშინვე, თითქოს მოლანდებააო, შავი ელიფსოიდიც უხმაუროდ, ლივლივით მოსწყდა მიწას, თანდათან აჩქარდა, წამომეწია და გამისწრო კიდეც. მერე, გამომშვიდობების ნიშნად, ღერძის ირგვლივ სამჯერ შემოტრიალდა და თვალს მიეფარა.

„ფარნავაზის“ სიჩქარე მატულობდა. მალე ქალაქი სტატანუსიც გამოჩნდა. იქ, ალბათ, ჯერაც არ იცოდნენ ჩვენი გაქცევის ამბავი, რადგან RT Cop ცეფეიდის მრისხანე გამოსხივება ყოველგვარ შორეულ რადიოგადაცემას ახშობდა, ვიდრე მორიგი აქტივობის პერიოდი მიიწურებოდა...

... აი ასე, ბატონო ჩემო, ასე შემთხვევით მოვხვდი პლანეტა სტატანუსზე და ამგვარად გადავარჩინე ორი აორდელი ასტრონავტი, რისთვისაც, თუ „კოსმოსურ მოგზაურობათა ენციკლოპედიურ მატიანეს“ დავუჯერებთ, „ასტრონავტ უტა ფაზიას მიხვედრილობა, განსწავლულობა და მაღალი პროფესიული დონე“ გახდა აუცილებელი.

ხოლო რაც შეეხება თვით პლანეტა სტატანუსსა და მის ცივილიზაციას, თქვენ, შეიძლება, იმთავითვე მიხვდით, რომ რაღაც ბუნდოვანი ეჭვი თვით პლანეტაზე ყოფნისას გამიჩნდა. მთელ საიდუმლოს კი ნათელი მხოლოდ დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ მოეფინა, ხოლო თუ როგორ, ამას ახლავე მოგახსენებთ.

## 9. Cogito, ergo, sum!

დედამიწაზე დაბრუნებისთანავე, ცენტრს კვლევის შედეგები ჩავაბარე თუ არა, ერთ ჩემ მეგობარს მივაშურე, რომელსაც ახლობლები „ცოცხალ ენციკლოპედიას“ უწოდებდნენ. იმ ჩემ მეგობარს რაღაცნაირი ანომალიური მეხსიერება ჰქონდა, ერთხელ თვალგადავლებულს ან ერთხელ ყურმოკრულს ისე იხსომებდა, გეგონებოდათ, თავისი დღე და მოსწრება სწორედ ამას იზეპირებდა და სხვა საქმე არც არასდროს ჰქონიაო. მივედი, სტატანუსზე გადამხდარი თავგადასავალი ვუამბე და ეჭვიც გავანდე. მომისმინა, იფიქრა, იფიქრა და ბოლოს

[1] ტრანსმატერიალიზაცია — ნივთიერი საგნის მყისიერი გადაცემა მანძილზე (ფანტ.).

[2] ჰომოგენერაცია (ლათ. ჰომო — ადამიანი, გენერაცია — დაბადება, გაჩენა) — მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის ხელოვნური შექმნის გზებსა და კანონზომიერებებს (ფანტ.).



მითხრა, მგონი მართალი უნდა იყოო: XXIV საუკუნის 20-30-იანი წლების პრესას და არქივებს გადახედე, თუ არ ვცდები, შენთვის საჭირო მასალებს სწორედ იქ ვიპოვიო. ერთი გაფიქრება ვიფიქრე, იქნებ ამას ვილენ ანდრეევის ექსპედიციის ისტორია ახსოვს, რომელიც ვარსკვლავთკატალოგსა და „კოსმოსურ მოგზაურობათა ენციკლოპედიური მატიანის“ მეორე ტომშია შეტანილი-მეთქი (ვილენ ანდრეევი — მგონი მოთხრობის დასაწყისში მოგახსენეთ — RT Cop ცეფეიდის R-384-A-18 პლანეტაზე XXIV საუკუნის პირველ მეოთხედში, კერძოდ, 2325 წელს მოხვდა და მდიდარი ფლორისა და ერთუჯრედიანი ფაუნის გარდა არაფერი აღუნიშნავს). მაგრამ არა, თურმე ვცდებოდი.

აი, ბატონო ჩემო, რა აღმოვაჩინე იმდროინდელ პრესასა და არქივებში:

**„რაბოტნიჩესკი დელო“, ივნისი, 2821.** „რეიკიავიკის ამასწინანდელმა სიმპოზიუმმა ცხადყო, რომ ახლომდებარე ვარსკვლავთსისტემათა დალაშქვრა არც ისე შორეული მომავლის საქმეა. აზრთა სხვადასხვაობა მარტო ექსპედიციათა შემადგენლობის საკითხმა გამოიწვია. ფაქტიურად ჩამოყალიბდა ეკიპაჟის სამი ვარიანტი: 1. მხოლოდ რობოტები (მთლიანად ავტომატიზებულ ხომალდში); 2. მხოლოდ ადამიანები; 3. ადამიანები და რობოტები. ცნობილი პროფესორის კ. საგან-მეორის აზრით, ყველაზე ოპტიმალური მესამე ვარიანტია“.

**„პარი სუარი“, ოქტომბერი, 2821.** „სამი ათეული წელიწადია, რაც იაპონიის ორ მსხვილ ფირმას — „სიკოკოსა“ და „მიცუბისის“ შორის მწვავე შეჯიბრება გაშლილა, რომელიც უფრო ძველებურ საკონკურენციო ბრძოლასა ჰგავს. „სიკოკო“ წლითიწლობით აუმჯობესებს მექანიკური რობოტების ხარისხს, მისი რობოტები ამჟამად, საერთო აღიარებით, ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. კარგა ხნის მანძილზე „სიკოკო“ წინ მიდიოდა. მაგრამ ბოლო წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია „მიცუბისიმ“, რომელიც უპირატესობას ბიორობოტებს აძლევს. ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუ რომელი ფირმის ქმნილება გახდება 2325 წლისათვის დაგეგმილი იაპონური კოსმოსური ექსპედიციის სრულუფლებიანი წევრი...“

**კცა[1], ფონდი 171, საქმე 14, გვ. 200“...** ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერთ მიგვაჩნია, რომ ფირმა „მიცუბისის“ მიერ დამზადებული ბიორობოტის საცდელი მოდელი სხვა არაფერია, თუ არა მკრეხელობა ბუნების წინაშე და ადამიანურ ღირსებათა შეურაცხყოფა, რასაც ვერ ვიტყვით ფირმა „სიკოკოს“ მექანიკური რობოტის მოდელის მიმართ...“

**„ვაშინგტონ პოსტი“, მარტი, 2828.** „ბრძოლა ფირმა „სიკოკოსა“ და ფირმა „მიცუბისის“ შორის თანდათან მწვავდება. ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, რომელიმე მოდელისათვის გარკვეული უპირატესობის მინიჭება ერთობ ძნელია. არადა, უკვე დადგა დრო, რომ ექსპედიცია „ნავასაკის“ მესვეურებმა ბოლოს და ბოლოს აირჩიონ ან ერთი, ან მეორე მოდელი, ვინაიდან სტარტამდე მცირე დროღა რჩება — სულ რაღაც ორიოდე წელიწადი...“

**„ჯუმჰურიეთი“, მარტი, 2828.** „იაპონელ მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა პარლამენტს მიმართა თხოვნით — ნუ დაამტკიცებს კოსმოსური ბიორობოტის მიცუბისისეულ მოდელს. საბუთი არცთუ უსაფუძვლოა — „მიცუბისის“ მოდელი ზედმიწევნით ჰგავს ადამიანს, რაც ბევრს მკრეხელობად და კაცობრიობის შეურაცხყოფად მიაჩნია...“

---

[1] კცა — კოსმონავტიკის ცენტრალური არქივი (ფანტ.).

„ოსაკა ნიუსი“, აგვისტო, 2824. „ფირმა „მიცუბისი“ გამარჯვებას ზეიმობს: წუხელ, გვიან, ღამით, პარლამენტმა დაამტკიცა ბიორობოტის მოდელი, რომელიც ამ ფირმამ შეიმუშავა. პარლამენტმა გამოთქვა რამდენიმე არაარსებითი შენიშვნაც“.

კცსსკი[1]-ს არქივი, ფ. 99, ს. 29, გვ. 120.

„ბატონო პრეზიდენტო!

მიცუბისისეული ბიორობოტის მოდელის გაუმჯობესებული ვარიანტი, რომელიც თქვენ წინაშეა წარმოდგენილი, ინტელექტითა და ქცევით ადამიანისაგან თითქმის არ განსხვავდება. მოდელი სრულყოფილად ფლობს მეცნიერების რამდენსამე დარგს — მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას, გეოლოგიას, ბოტანიკას, განსწავლულია ლოგიკაში, სოციოლოგიაში, რელიგიის ისტორიაში, პოლიტიკაში, იცის ოცზე მეტი მკვდარი და ცოცხალი ენა (რობოტი უნივერსალურია — გამოიყენება, როგორც კოსმოსში, ისე დედამიწაზეც), მათ შორის — მიკროასოციაციის ერთიანი ენაც. თქვენთვის გასაგებ მოსაზრებათა გამო მოდელი არ იცნობს ასტრონომიას, ასტროფიზიკას, ასტრონაოსნობის საფუძვლებს და მცირე რამ გაეგება სამხედრო საქმეში (მხოლოდ იმდენი, რომ საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფა მოახერხოს). გარდა ამისა, რობოტის მეხსიერებაში შეგნებულად არ ავბეჭდეთ სამოქალაქო ისტორიის ცოდნა თუნდაც იმ მიზნით, რომ მისი ხელოვნური ტვინის მეტი უჯრედი დარჩენილიყო თავისუფალი ახალ-ახალ ინფორმაციათა მისაღებად.

ბატონო პრეზიდენტო!

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ დედამიწაზე ჯერჯერობით არავის მოეპოვება ბიორობოტი (ან სხვა სახის რობოტი), რომელიც ჩვენს მოდელს ტექნიკურ-მეცნიერული ცოდნით, მოქნილობით, ამტანობით და, რაც მთავარია, ადამიანის ერთგულებით აღემატებოდეს...

ფირმა „მიცუბისის“ დირექცია.

„უნიტა“, სექტემბერი, 2825. „საკდესის ცნობით, ბულგარელი ასტრონავტის ვილენ ანდრეევის ხომალდი „დუნაი“ მშვიდობიანად დაეშვა RT Cop ცეფეიდის ერთ-ერთ პლანეტაზე.

„ასოშიეიტედ პრესის“ სააგენტოს ცნობით, გუშინ იაპონიის კუნძულ ხონსიუს კოსმოსური ბაზიდან აფრინდა ამ ქვეყნის პირველი ვარსკვლავთშორისი კოსმოსური ხომალდი „ნაგასაკი“. სტარტმა წარმატებით ჩაიარა და ხომალდი გავიდა გათვალისწინებულ ორბიტაზე. ექსპედიციას მეთაურობს ცნობილი ინჟინერი და მფრინავ-გამომცდელი სეიკო კომაცუ“.

კცა, ფ. 223, ს. 5, გვ. 329.

„ბატონო თავმჯდომარევ!

უკანასკნელ ხანს პრესაში გავრცელდა იაპონიის კოსმოსური ცენტრის განცხადება, თითქოს TR Cop ცეფეიდის სისტემის და, კერძოდ, მისი მეათე პლანეტის აღმოჩენა სეიკო კომაცუს ექსპედიციის დამსახურება იყოს.

უნდა შევახსენოთ, რომ ეს განცხადება სინამდვილეს არ შეეფერება. ხსენებული სისტემა და მისი მეათე პლანეტა ს. კომაცუზე სამი წლით ადრე, 2325 წლის ივლისში, ჩვენმა თანამემამულემ ვილენ ანდრეევმა აღმოაჩინა.

ჩვენ მივმართავთ საერთაშორისო არბიტრაჟს თხოვნით — აღადგინოს სამართლიანობა და პირველაღმომჩენის პრიორიტეტი დამსახურებულად მიაკუთვნოს ასტრონავტ ვილენ ანდრეევს...“

კცსსკი-ს არქივი. ფ. 121, ს. 17, გვ. 211.

„... ბატონო პრეზიდენტო!

ამჯერად თქვენი ყურადღება უნდა მივაპყრო გაუთვალისწინებელ, დასანან შემთხვევას, რომელმაც ჩვენს ბრწყინვალე ექსპედიციას რამდენადმე ჩრდილი მიაყენა.

ფირმა „მიცუბისის“ ბიორობოტებზე მოგახსენებთ...

ამ რობოტებმა ფრენის მთელი დროის მანძილზე სავსებით გაამართლეს იმედები და შესანიშნავად ართმევდნენ თავს დაკისრებულ მოვალეობას. ასე იყო R-384-A-3 პლანეტაზე მუშაობის პირველ კვირებშიც.

მაგრამ, შემდეგ ბიორობოტებში (მათგან ორი მამრობითი სქესისა იყო, ორიც — მდედრობითისა) გაუთვალისწინებელი ცვლილებები მოხდა. ისინი უცებ გაჭირვეულდნენ, დავალებას ძველებურად გულდაგულ აღარ ასრულებდნენ, თუ სადმე გავგზავნიდით, დაბრუნებას აგვიანებდნენ და თავს რთული რელიეფით ან გაუვალი ტყით იმართლებდნენ. სამწუხაროდ, ჩვენ ფირმა „მიცუბისის“ ინსტრუქციას ვერწმუნეთ, ყოველივე ეს დროებით მოვლენად მივიჩნიეთ და, რაკი მალე უკან გამობრუნებას ვაპირებდით, სერიოზული ყურადღება არც კი მიგვიქცევია. და, აი, „ნაგასაკის“ სტარტის დღეს არც ერთი რობოტი დავალებიდან უკან არ დაბრუნდა... ვინაიდან სტარტისთვის ხელსაყრელი მეორე მომენტი მხოლოდ სამი თვის შემდეგ დადგებოდა, ხოლო ამდენი ლოდინი მთელ რიგ უხერხულობას გამოიწვევდა, გადავწყვიტეთ ურობოტებოდ გამოვფრენილიყავით.

ამრიგად, ფირმა „მიცუბისის“ ოთხივე რობოტი R-384-A-3 პლანეტაზე დარჩა.

ბატონო პრეზიდენტო!

ასტრონავტის მორალი მაიძულებს გამოვთქვა ჩემი ეჭვი: ფირმა „მიცუბისის“ ოთხი ბიორობოტი ხსენებულ პლანეტაზე არა რაიმე გარეშე ძალის გავლენით (ასეთი ძალები ამ პლანეტაზე არ არსებობენ), არამედ **საკუთარი ნებით, საკუთარი სურვილით დარჩა...**

ხომალდ „ნაგასაკის“ მეთაური, ასტრონავტი სეიკო კომაცუ“.

## 10. ბოლოთქმა

ასე დადასტურდა ჩემი ეჭვი, რომელიც, თუ ყურადღება მიაქციეთ, პირველად უზენაესთან საუბრისას გამიჩნდა. საქმე ის არის, რომ ძველი ჩვეულებისამებრ, ადამიანისებური რობოტების თითოეულ სერიას აუცილებლად უნდა ჰქონოდა თავისი გასაღები, რაიმე პაროლისებური ფორმულა, რომელიც რობოტს მოაგონებდა — ადამიანმა შეგქმნა ადამიანისავე სამსახურისთვის, ვინძლო ეს გახსოვდეს და ემორჩილებოდეო. გარდა ამისა, ამ პაროლის მეშვეობით რობოტი ერთმანეთისაგან განასხვავებდა უცხოსა და „თავისიანს“. ხშირად პაროლი რამდენიმე იყო და თითოეული განსაკუთრებული მიზნით იხმარებოდა. „მიცუბისის“ ბიორობოტთა ერთ-ერთი პაროლი **„შეკითხებით და მიპასუხეთ“** გახლდათ. მისი დანიშნულება მოსაუბრისაგან რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიღება იყო. თუ გახსოვთ, უზენაესმა იგი რამდენჯერმე იხმარა ჩემთან საუბრისას. ბოლოს, დაცინვის მიზნით, ყოველგვარი წინასწარგანზრახვის გარეშე, ფორმულა მეც გამოვიყენე და უცებ აღმოვაჩინე, რომ სასურველი ეფექტიც მოჰყვა. არანაკლებ გამომადგა იგი რენიო ნატესთან საუბრის დროსაც.

მოგვიანებით ისიც გავიხსენე, რომ არც ერთი სტატანუსელის სახეზე ღიმილი არ დამინახავს, ხოლო აეროდრომის ორ მოსამსახურეს, რომლებიც ტრაპთან შემხვდნენ, და არც თვით უზენაესს ჩემთვის მიკროასოციაციის ერთიანი სალმის ფორმულით არ მოუმართავთ. რენიო ნატეს ნათქვამიც მომაგონდა: „უზენაესმა თქვა,

[1] კცსსკი — კოსმოსურ ცივილიზაციათა სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ფანტ.).

**თქვენ** ყველანი ერთნაირები ხართო". **თქვენო...** ამით რენიო ნატემ თვითონვე გამოჰყო ბიორობოტთა კლასი ადამიანთა მოდგმისაგან. ისიც საგულისხმო იყო, ცეფეიდის პერიოდულობით გამოწვეული ტემპერატურის ცვალებადობა სტატანუსელებზე აბსოლუტურად რომ არ მოქმედებდა. მაგრამ, დამერწმუნეთ, თქვენც გაგიძნელდებოდათ იმის დაჯერება, რომ მთელი პლანეტა მხოლოდ რობოტებით — თუნდაც არაჩვეულებრივად განსწავლული ბიორობოტებით იყო დასახლებული. სეიკომაცუს თავიდანვე რომ განეცხადებინა ოთხი ბიორობოტის „ბუნტისა" და პლანეტაზე მათი თვითნებურად დარჩენის შესახებ, რა თქმა უნდა, ეს დროულად ეცნობებოდა მთელ მიკროასოციაციას და აორდელ ასტრონავტთა ექსპედიცია ჩიხში არ მოექცეოდა. მაგრამ სეიკომაცუსა და პრეზიდენტს, ვისაც მან მოხსენებითი ბარათი წარუდგინა, სულაც არ სურდათ ფირმა „მიცუბისის" გაკოტრება. გარდა ამისა, კაცმა რომ თქვას, აბა ვინ იფიქრებდა, რომ ოთხი ბიორობოტი, რომელთაც დედამიწაზე გამრავლების უნარი არ გამოუმჟღავნებიათ, TR Cop ცეფეიდის მეათე პლანეტაზე ეგზომ გააქტიურდებოდა, და რობოტოიდთა მრავალფეროვან კოლონიას შექმნიდა?..

„მრავალფუნქციიანი რობოტის სახით ადამიანი, ბევრი ფანტასტისა და მეცნიერის აზრით, წააწყდა არსებას, გაცილებით ძლიერს, ვიდრე თვითონ არის... შესაძლოა ოდესმე შეიქმნას ანდროიდი, რომელსაც ექნება ემოციები, ნებისყოფა, აზროვნება, გამრავლებისა და ევოლუციის უნარი. ეს კი ნიშნავს, რომ იგი უთუოდ აჯობებს ადამიანს. სხვაგვარი ანდროიდი, უბრალოდ, არავის სჭირდება".

(ამონაწერი XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი პოპულარული წიგნიდან).

ხედავთ, ბატონო ჩემო? გამრავლებისა და ევოლუციის უნარის მქონე ბიორობოტების შექმნა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში უწინასწარმეტყველებიათ!.. ეს მშვენიერი წიგნი, სამწუხაროდ, სტატანუსზე მოხვედრამდე წაკითხული არ მქონდა, თორემ იქნებ ჩემ [illegible] მო-ფენოდა ნათელი, მით უმეტეს, რომ აორდელმა ასტრონავტებმა სიამოვნებით მიამბეს მათ პლანეტაზე ანალოგიური დიდებული მიღწევის თაობაზე (ეს საინტერესოა: როგორც ჩანს, სხვადასხვა ცივილიზაციის განვითარება, თუ კი ეს განვითარება მსგავს პირობებში მიმდინარეობს, დაახლოებით თანაბარზომიერია და ზოგიერთ პუნქტში თანხვდება კიდეც ერთმანეთს).

რაც უფრო ღრმად ვეცნობოდი საარქივო მასალებს და იმ ვრცელსა დანაირფეროვან პროგრამას, რომელიც „მიცუბისის" ბიორობოტების ხელოვნურ ტვინში იდო და, ამავე დროს, ვითვალისწინებდი კოლოსალურ მეცნიერულ-ტექნიკურ დონეს, რომელიც პლანეტა სტატანუსზე ვიხილე, თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ მათ გაცილებით მეტი გააკეთეს, გაცილებით წინ წავიდნენ, ასგზის მეტი შექმნეს, ვიდრე ამის საშუალებას თავდაპირველად მიღებული ცოდნა აძლევდათ. მაშასადამე, ისინი თანდათან და განუხრელად ვითარდებოდნენ, მიდიოდნენ ევოლუციის აღმავალი გზით, ინტელექტუალურად იზრდებოდნენ და მწიფდებოდნენ, მათ ხელოვნურ ტვინში იტოტებოდა და დამოუკიდებელ, თავისთავად ცხოვრებას იწყებდა ადამიანთა მიერ დაპროგრამებული ლოგიკური აზრი, „ტვინის" ზედაპირზე ჩნდებოდა ახალი ნაოჭები, ცარიელი უჯრედები ნელინელ ივსებოდა ახალ-ახალი აბსტრაქტული ცნებებითა და პრაქტიკული ცოდნით. ერთი სიტყვით, ბიორობოტების (თუ უკვე ყოფილი ბიორობოტების?!) თავში მძლავრი, მხოლოდ აზროვნების პროცესი მიმდინარეობდა და სწორედ ეს აძლევდა მათ უფლებას, რომ თამამად, საქვეყნოდ, ყველას გასაგონად განეცხადებინათ:

— Cogito, ergo, sum!





საქმიანი ატმოსფერო სუფევს უმცროსი ასაკის მკითხველთა განყოფილებაში

# აქედან იწყება მოზარდის

მეხუთე თუ მეექვსე კლასში ვიყავი, როცა გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს სკოლაში რამდენიმე ათეული წიგნის შეკრულა მოიტანა ფოსტამ. თქვეს. ხვალიდან ჩვენც გვექნება ბიბლიოთეკაო. თითქმის მთელი ღამე თეთრად გავათენე, ერთი სული მქონდა, როდის წავიდოდი სკოლაში და გაკვეთილების შემდეგ ახალგახსნილ ბიბლიოთეკაში შევდგამდი ფეხს. ეს წუთიც დადგა და ახლაც კი, სამ ათეულ წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ, მკაფიოდ მახსოვს მღელვარება, იმ დროს რომ განვიცადე, თითქოს ახლაც მცემს საამო სუნი, იმ წიგნებს რომ გამოჰყოლოდა სტამბიდან და შორეული სვანეთის ბილიკებზეც არ განქარვებულიყო.

წიგნის სიყვარულმა ბიბლიოთეკა განსაკუთრებით შემაყვარა. სიყვარულთან ერთად მისდამი დიდ მოკრძალებასაც ვგრძნობ. მახსენდება ხოლმე სტრიქონები ალექსანდრე აბაშელის ლექსიდან, წიგნსაცავს რომ ეძღვნება: ,,როგორც ტაძარში, შემოვდივარ აქ მოწიწებით, სადაც წინაპართ დიდი სიბრძნის შუქი ანთია, რამდენი თავი შეუმოსავს ამ შუქს დიდებით, რამდენი ბნელი უმეცრება გაუფანტია! რჩეულ აზრების და გრძნობების სალარო დიდი სავსეა სიტყვის ფერადოვან ძვირფას თვლებითა. ყოველი წიგნი ზის ბუდეში, მტრედივით მშვიდი, შეარხევ — ელვას გამოანთებს გაშლილ ფრთებიდან...''

დიახ, განსაკუთრებით მიყვარს სანუკვარ აზრთა, გრძნობათა სალარო — ბიბლიოთეკა. დიდ პატივსა ვცემ იქ მოსიარულეთაც. და როცა რედაქციამ დამავალა ნარკვევი დამეწერა რესპუბლიკურ საბავშვო ბიბლიოთეკაზე, გამეხარდა, მაგრამ შემდეგ კინაღამ უარი ვთქვი დავალების შესრულებაზე. საქმე ის არის, რომ რესპუბლიკურ საბავშვო ბიბლიოთეკას 18 ათასზე მეტი მკითხველი ჰყავს, ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და უცხოურ ენებზე გამოცემული 170 000-მდე წიგნითა და პერიოდული გამოცემით მომსახურებას უწევს 12 საშუალო სკოლის მოსწავლეებს. რამდენიმე მიკრორაიონის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს, ზაფხულობით — პიონერულ ბანაკებში დამსვენებლებს და, როგორ გინდა, თუნდაც ოდნავი მიახლოებით მაინც ასახო რამდენსამე გვერდზე ის ცხოვრება, რომელიც ამ ბიბლიოთეკის ათსავე განყოფილებაში ჩქეფს მუდამდღე, გადმოსცე განწყობილება იმ ათასობით მოზარდისა, მეგობრობისა და აკ. წერეთლის გამზირებზე მდებარე ორი შენობის დარბაზებისაკენ რომ მიუხარიათ ხოლმე! ამიტომ მხოლოდ რამდენსამე შტრიხს უნდა დავჯერდეთ.

თავდაპირველად უმცროსი ასაკის მკითხველთა მომსახურების განყოფილებას ვეწვიოთ.

დარბაზში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს კედლის მთელ სიგრძეზე გამოფენილი სხვადასხვა ზომის ნახატები.

— ჩვენი მკითხველის, მანანა ჯანიაშვილის ნამუშევრებია, — გვიხსნის განყოფილების გამგე ლიანა ხოშტარია — მანანა მხოლოდ მესამეკლასელია, მაგრამ უკვე ბევრმა წიგნმა გაიარა მის ხელში. ამის შედეგიც არის ეს ნახატები.

ჩავიხედოთ შთაბეჭდილებათა რვეულში.

,,მანანა, ძალიან მომეწონა შენი ,,ნარიყალა'' და ,,1 მაისი'', — წერს მანანას თანატოლი ნატა იანვარაშვილი. ირინე ბაქაქურს ,,ეს არ უნდა განმეორდეს'' მოსწონებია, იამზე ზირაქაშვილს — ,,თამარ მეფე'', სხვებს კიდევ — სხვანი და სხვანი.

თაროებთან ერთი ფუსფუსია, ოღონდ — უხმაურო.

— დეიდა ნათელა, შემირჩიეთ, რა. კარგი წიგნი, — მიმართავს თვალციმციმა გოგონა მთავარ ბიბლიოთეკარს ნათელა სხირტლაძეს.

— ახლავე, ჩემო დალილა. — ბიბლიოთეკარმა გულისყურით ჩაათვალიერა თაროებზე ჩამწკრივებული წიგნები და ლამაზად გამოცემული ფერადნახატებიანი ო. იოსელიანის ,,დაჩის ზღაპრები'' გადმოიღო, ფორმულარი შეავსო და გოგონას გაუწოდა. მერე ჩვენ მოგვიბრუნდა:

— დალილა ვაშაკიძე 147-ე სკოლის მეორეკლასელია. პირველად რატომღაც სქელტანიან წიგნებს ეტანებოდა. შევატყე, ვერ სძლევდა მათ. მას შემდეგ მე ვურჩევ შესაფერის ნაწარმოებებს.

უფროსი ბიბლიოთეკარი ლამარა ვასაძე შერჩეული წიგნებით ხელდამშვენებულ პაატა კიკნაძეს, ზურაბ ნოზაძეს, ირმა ლომიძეს, ნინო სააკაძეს, ნინო ჭვალაძეს, ლალი ჭავჭანიძეს ეკითხება მათ მიერ წაკითხულის გარშემო, ისინიც მკვირცხლად უპასუხებენ

ერთ-ერთ მაგიდაზე საქაღალდის მსგავსი მუყაოს კოლოფები აწყვია. თითოეულ მათგანზე ამა თუ იმ საყმაწვილო წიგნის გარეკანის ანაბეჭდია დაკრული. ანაბეჭდებს თურმე გამომცემლობა „ნაკადული“ აძლევს ბიბლიოთეკას. ვათვალიერებთ. არჩილ სულაკაურის „ჯადოსნური კაბა“, ქეთევან ჭილაშვილის „დიდი ხუთიანი“, დავით ჯავახიშვილის „ძია სევა“, სულხან ქეთელაურის „ტყე ტიროდა“, ლ. რენის „ნობი“... კოლოფებში მკითხველთა ჩანაწერები დევს, დალი გზირიშვილს ხათუნა კახელაძეს, ლელა ჯანაშვილს, ჯუმბერ თადიაშვილს, ზურაბ ბურდულს, მაია კახაბრიშვილსა და სხვებს ბავშვური უშუალობით გამოუხატავთ თავიანთი ნაფიქრი ამ წიგნების შინაარსის ირგვლივ.

განყოფილებაში ხშირად იმართება ლიტერატურული დილა, წარმოადგენენ მხატვრულ მონტაჟებს. აი, ზოგიერთი მათგანიც: „ჩვენი ნორჩი გულები სამშობლოსათვის ძგერს“, „დაე მუდამ იყოს მზე“, „სიმართლის ცა არ დაიბინდება“, „რა ვიცით ცხოველების შესახებ“, „კოსმოსის გმირები“, „ვინა ვართ ჩვენ“... იწვევენ საყვარელ მწერლებს, მხატვრებს. საპატიო სტუმრებად უკვე ჰყოლიათ იოსებ ნონეშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, მორის ფოცხიშვილი, ვანო ურჯუმელაშვილი, ჯემალ ლოლუა, ლევან ცუცქირიძე, ზურაბ ფორჩხიძე...

პატარების დიდ ინტერესს იწვევს ვიქტორინა „მწვანე, ყვითელი, წითელი“. ვიქტორინაში მონაწილენი საგზაო გამაფრთხილებელი ნიშნების კარგ ცოდნას ავლენენ.

დიდი მოწონებით სარგებლობს ხელნაწერი ჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“, რომელსაც აქვს განყოფილებები: „ბუნება და ადამიანი“, „ჩვენს თვალუწვდენ სამშობლოში“, „ჩვენი კანონმდებლობა“, „მოგზაურობა სოციალისტურ ქვეყნებში“, „მოგზაურობა კაპიტალისტურ ქვეყნებში“, „ხელოვნება და ლიტერატურა“. ჟურნალის მსუბუქი, გასაგები ენით დაწერილი მასალების მეშვეობით პატარები ბევრ საინტერესოსა და სასარგებლოს ეცნობიან.

ნორჩ მკითხველთათვის ეწყობა ექსკურსიები თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებში — ავლაბრის სტამბაში, გამომცემლობა „ნაკადულის“ სტამბაში, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში, გამარჯვების პარკში...

კვირაში ორ დღეს ბიბლიოთეკის ერთ-ერთ ოთახში ტევა აღარ არის ხოლმე: აქ მულტფილმებს, აგრეთვე სასწავლო მასალასთან დაკავშირებულ დიაფილმებს აჩვენებენ. ბევრი მსმენელი ჰყავს მუსიკის განყოფილებას, სადაც პატარების სულს აფაქიზებს ნაირ-ნაირი საბავშვო მუსიკა.

ერთი სიტყვით, ამ ბიბლიოთეკაში მოსული ნორჩი მკითხველები შემეცნიერების სამყაროში გრძნობენ თავს.

უფროსი ასაკის მკითხველთა მომსახურების განყოფილებაში იმ დროს მივედით, როცა იქ მკითხველთა კონფერენცია მიმდინარეობდა. თემა: „საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა მეათე ხუთწლედში“. 130-ე, 140-ე და 147-ე სკოლების მოსწავლეები ლია ჯანელიძე, ლია მახათაძე, ნუცა ქორელი, ხათუნა გუდავაძე და მათი თანატოლები შინაარსიანად ჰყვებოდნენ ახალ ხუთწლედში კულტურისა და განათლების განვითარებაზე, გრანდიოზული გეგმების განხორციელებაში ახალგაზრდობის როლზე, იმაზე, თუ როგორი იქნება საქართველო ხუთწლედის ბოლოს. ნათლად ჩანდა კონფერენციის მონაწილეთა აქტიური დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის დიდი ცხოვრებისადმი.



დარბაზში „ხალხმრავლობაა“. ბავშვები საყვარელ წიგნებს ჩაჰკირკიტებენ.

„ამ წეს-ჩვეულებებს არ უნდა მივდევდეთ!“ — ასეთია მკითხველთა ერთი ნაწილის დევიზი. ისინი ბრძოლას უცხადებენ დრომოჭმულ, საბჭოთა მოქალაქისათვის შეუფერებელ ტრადიციებს, ცრუმორწმუნეობას, რელიგიურ დღესასწაულებს. მეტად საინტერესოდ ჩატარებულა ნ. ლომოურის „ქაჯანასა“ და „ალის“, დ. ჭონქაძის „სურამის ცი-



მუსიკალურ განყოფილებაში ბავშვები ისმენენ საყვარელ ზღაპრებსა და მუსიკალურ ნაწარმოებებს.

ხის", გ. ვეკუას „რატომ მიიღო მზიამ ორიანის" განხილვა.

სამკითხველო დარბაზში თვალს ახარებს მაგიდებს მიმსხდარი, წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭების ცქერა. ზოგი თავის სანუკვარ წიგნს უზის თავდახრილი, ზოგი ჟურნალების ახალ ნომრებს ათვალიერებს, სააბონიმენტოში რიგი დგას, უკან აბარებენ წაკითხულ წიგნებს, მიაქვთ ახალი... ჩავიხედოთ რამდენიმე მკითხველის ფორმულაში. კახა ბაღათურია. 155-ე საშ. სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლე. უყვარს ყველა სასწავლო საგანი. განსაკუთრებით მოსწონს სათავგადასავლო და ისტორიული ხასიათის წიგნები. წლეულს წაუკითხავს გაიდარის, კიპლინგის, ჰაშეკის, მაინ რიდის, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები. ასევე უყვართ წიგნი გელა ეხვაიას, გოჩა ცუცქირიძეს, მარინე ჯაფარიძეს, მაია ჭალიაშვილს, თეიმურაზ ხუციშვილს, ანა რეხვიაშვილს, მაია კობალეიშვილს, ნუგზარ ბაკურაძეს, გიორგი ჟღენტს, ზაზა უტიაშვილსა და მრავალსა და მრავალს, ყველას რა ჩამოთვლის! დარწმუნებული ვართ, რომ წიგნი მათი განუყრელი თანამგზავრი, მათი ერთგული მეგობარი იქნება მთელი ცხოვრების გზაზე. სწორედ ამისთვის იღვწიან დაუღალავად ბიბლიოთეკის დირექტორი გრიგოლ მუხაშავრია, თინა ხაფავა, ქეთევან სალარეიშვილი, ლამარა ვასაძე, ნუნუ ლორია, გულიკო ენუქიძე, იზოლდა კვირიკაშვილი, ნათელა დევაძე, გულნარა ფირცხალავა და სხვა ბიბლიოთეკარები, რომელთაც თავიანთი ცხოვრების მიზნად გაუხდიათ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ხვალინდელი დღის მოქალაქეთა აღზრდას პატრიოტ, სულით სპეტაკ, განათლებულ, კაცთმოყვარე ადამიანებად.

და მოდიან, მოუხარიათ გონების განმანათლებელ, სულის გამფაქიზებელ აზრთა საგანძურისკენ ოქტომბრელებსაც, პიონერებსაც, უფროსკლასელებსაც.

**ს. შამუგია.**

ფოტო ვ. ბორისენკოსი.



მიმდინარეობს ახალი წიგნის გარჩევა

# ძნელი გზები

მხატვარი ჯ. ლოლუა.

კლავდია დევდარიანი

(ნაწყვეტი რომანიდან „ვახუშტი ბატონიშვილი“)

ლევანის გასტუმრების შემდეგ ეს პირველი საოჯახო თათბირი იყო.

სულხან-საბამ ვახუშტი ბატონიშვილის თხოვნა ყველას გააცნო:

— ბატონიშვილი ვახუშტი თხოულობს ნება დავრთოთ, ზემო იმერეთის მდებარეობა დაწვრილებით შეისწავლოს: ხევები, გადასასვლელები, მდინარეთა სათავეები და შენაკადები.

— კარგი საქმის წამოწყება განიზრახა ვახუშტიმ. როგორ აპირებს გამგზავრების მოწყობას?

— მარტო აპირებს წასვლას, ვარდენს იახლებს მხოლოდ. მოგეხსენებათ, როგორი ერთგულია ბატონიშვილისა ვარდენი. ამასთან ერთად კარგად იცნობს ზემო იმერეთს, ბავშვობა იქ გაუტარებია. ფეხით გადაწყვიტა სიარული, ცხენებზე უარს ამბობს.

— მარტოდმარტო, ორნი? ლეკნი და ოვსნი რომ დაესხან თავს?!

— ლეკნი და ოვსნი ზემო იმერეთს ეგრერიგად ვერ ეგუებიან, ეშინიათ იქ გადასვლისა, ტყვეთა ყიდვა-გაყიდვით გაწუწკებული ზოგიერთი იმერელი მეფის კანონის შემდეგ შეშინებულია, ვერას გაბედავენ.

— რას იტყვით, გარსევანიშვილებო, ენდობით თქვენს გაზრდილს ამ სახიფათო საქმეში? გავგზავნოთ ჭაბუკები?

გიორგი გარსევანიშვილი წინ წამოდგა:

— ჩემი გაზრდილი თავის ჩანაფიქრს ღირსეულად შეასრულებს, ამ აზრს ემხრობა სულხან-საბაც. იმერეთის საზღვრამდე ჩემი კაცები გააცილებენ, მერე აბაშიძეები არას გაუჭირვებენ.

— როდის აპირებენ გამგზავრებას? — კვლავ იკითხა ვახტანგმა.

— კვირას უნდათ გამგზავრება, ცისკრისას. იმერეთში გადასვლას დიდი დრო არ დასჭირდება, მაგრამ გზადაგზა ბევრი რამ აქვთ შესწავლილი, ეს დააყოვნებთ.

— იმერეთს რომ გადავლენ, მერე აღარ მეშინია! — იმედიანად თქვა რუსუდანმა.

წიგნსაცავში ელოდა ვახუშტი შინაურთა თათბირის დამთავრებას. სულხან-საბას გამოჩენ მ შეაკრთო, სახეში შეხედა მოძღვართმოძღვარს, მიხვდა, მის სასარგებლოდ გადაეწყვიტა თათბირს საქმე, უცნაურად შეიფრთხიალა და კითხვით სავსე მზერა მიაპყრო.

— მომილოცავს, შვილო ჩემო, შეემზადე გასამგზავრებლად.

— გმადლობთ, მოძღვართმოძღვარო! — სახე აუწითლდა ვახუშტის და სულხან-საბას ხელზე ემთხვია.

— იმედი მაქვს, რა საქმესაც თავს იდებ, დიდი გულმოდგინებით შეასრულებ. ჩვენც გვაქვს დავალებანი: უნდა აღწერო ყველა, ვისაც ძალა შესწევს აბჯართ ხმარებისა, სამეფოთა ხარჯთა და ბეგარათა გამოღებისა; ცალ-ცალკე უნდა აღწერო ბოგანო, აყრილი და ნასყიდი გლეხები.

— უმაგისობა არ იქნება, მოძღვარო ჩემო!

— ჩემს მუშაობას ფრიად დააყოვნებს უშენობა, შვილო ჩემო, შენი საღი გონება და სწრაფი მოსაზრებანი მუდამ საჭიროა ჩვენთვის.

— მართალია, აქაურ საქმეებს მოვწყდები, მაგრამ გადავწყვიტე, ყოველი ზაფხული ამ საქმეს შევწირო.

აფორიაქებულ ვახუშტის დიდხანს არ დაეძინა.

საიდან დაიდო სათავე მისმა მოღვაწეობის ბილიკმა?

— დიდი ბჭობიდან მოდის შენი მოღვაწეობის ბილიკი! — ჩასჩურჩულა ვიღაცამ.

— არა, პირველი ელჩობიდან დაიწყო შენი მოღვაწეობა.

შემდეგი ნაბიჯი იმერეთიდან დაიწყება.

სულხან-საბასთან საუბრის შემდეგ სამოგზაუროდ წასვლის მზადება დააჩქარა ვახუშტი ბატონიშვილმა. ტანსაცმლისა და სანოვაგის მომარაგება გადია ესმას მიანდო. დედის თანაბრად უყვარდა გამდელი ესმა ვახუშტის. როცა სულხან-საბამ ახალდაბადებული ვახუშტი ლი, თავისი გაზრდილი ვახტანგის ცოდვის შვილი აბაშიძეებისას მოაყვანინა, სვიმონ აბაშიძის ბებიამ, ატატო მიქელაძის ქალმა, ესმა მიუჩინა აღმზრდელად ჩვილ ვახუშტი ბატონიშვილს.

ესმა ახალგაზრდობის ჟამს იყო მოყვანილი აბაშიძეებისას. ლეკიანობის დროს აბაშიძეებმა ნადირობისას იპოვეს სიკვდილის პირზე მიმდგარი, მას შემდეგ აბაშიძეების გარემოს არ გაშორებია ქალი. როცა ატატო მიქელაძის ქალმა ჩვილი ესმას მიანდო, განსაკუთრებით გაიხარა დედობას მოწყურებულმა, უთვისტომოდ დარჩენილმა ესმამ. სიცოცხლეს ერჩივნა ვახუშტი ბატონიშვილი. როცა ვახტანგმა იქორწინა ლამაზ, ახალგაზრდა ჩერქეზის ქალზე, ეჭვიანობდა კიდეც ესმა, ჩვილი არ მომტაცოსო, მაგრამ კეთილსა და სათნო რუსუდანს უყვარდა ესმა, ბევრი რამ უსწავლია ამ ქალისაგან. ესმა კარგი მწიგნობარი იყო, ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, თავის ხელით ჰქონდა გადაწერილი ატატო მიქელაძის ქალის დავალებით. მიქელაძის ქალი, როცა თვითონ დაიღლებოდა, ესმას აწერინებდა. მრავალი ლექსი, ლეგენდა და ზღაპარი იცოდა ესმამ ზეპირად.

— როგორი ზამთარი იქნებაო?! — ჰკითხავდნენ ესმას. ესმაც დაუყოვნებლივ უპასუხებდა:

— თაგვებმა თუ სოროების კეთება კედელს შუა დაიწყეს, ნიშანია დიდი თოვლისა.

— უნდა ვისწავლო ესმას ასტრონომია! — ხუმრობდა ხოლმე ვახტანგ მეექვსე.

თავისი დიდი ცხოვრების გამოცდილება ესმამ მთლიანად გადაიტანა თავის გაზრდილ ბატონიშვილზე. დღესაც დედის მზრუნველი ხელით ულაგებდა ბატონიშვილს ბარგს.

— ვახუშტი, შვილო, ხურჯინის ამ თვალში სანოვაგე გექნება, მეორეში ტანსაცმელი. წლეულს თბილი და ნაადრევი გაზაფხული იქნება, წყალდიდობაა მოსალოდნელი, ფრთხილად იყავი.

— გადია, დასავლეთში მივდივარ, იქ ადრე დაიწყება გაზაფხული!

— მარტოდმარტოდ მიდიხარ, ვარდენის ამარა?

— ისეთ საქმეზე მივდივარ, გადია, მარტოობა სჯობია!

— მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალია, შვილო. იქნებ ვახუშტი აბაშიძე წაგეყვანა, ან პაპუნა, გამოცდილი კაცია.

— ვახუშტი აბაშიძე იმერეთს წავიდა, სტამბის საქმეები აქვს დავალებული. პაპუნა არ მინდა გავსარჯო, ხანი შეეპარა, გაუჭირდება ფეხით სიარული.

— ფეხით როგორ უნდა იარო იმერეთამდე, შვილო!

— ყოველ სოფელში საქმე მექნება, გადია, ფეხით სიარული სჯობია!

— ფრთხილად იყავი, შვილო. ღმერთი სწყალობდეს ყოველ შენს ნაბიჯს! მეშინია, წუნკალ ლეკებს არსად გადაეყარო.

— ნუ გეშინია, გადია, წუნკალი ლეკები ჩვენს სოფლებში წანწალს ვეღარ გაბედავენ, მეფემ სამუდამოდ ამოუკვეთა ფეხი.

— ღმერთმა ქნას! — პირჯვარი გადაიწერა ესმამ.

— როგორ გაგივსია ხურჯინი, ამას ზიდვა არ უნდა?

— არა, შვილო, აქ ზედმეტი არაფერია. ვინ იცის, უკაცრიელ ადგილებში მოხვდე, ჭამა ხომ გინდა. ჩურჩხელები ჩაგიწყე, კახური და იმერული, იმერეთიდან გამოგზავნილი ტკბილისკვერი, ბიისკვერი, თაფლიანებიც გამოგიცხე. კაცის ჭაჭანებაც რომ არ იყოს, მაინც არა გიშავს რა, ისე შეინახავ თავს. ჩვენკენ ბევრი სოკო იცის, ფრთხილად უნდა შერჩევა, შხამას არსად გადაეყარო, ვარდენმა კარგად იცის ცნობა, ვასწავლე.

გამგზავრების წინადამეს ვახუშტი ბატონიშვილი დიდხანს დარჩა მამასთან.

კვირა დილით სასახლე ადრიანად ახმაურდა, ყველამ თავი მოიყარა ვახუშტის გასაცილებლად, გზის დასალოცად.

დედოფალმა ღვთისმშობლის ხატი გამოასვენა კარის ეკლესიიდან, შვილივით დალოცა ვახუშტი:

— დაუსრულებელი იყოს შენი არჩეული გზა, შვილო ჩემო, მუდამ ია და ვარდი გეფინოს ცხოვრების გზაზე! — დედოფალმა გულში ჩაიკრა ბატონიშვილი, ვახუშტი ნამდვილი შვილის გრძნობით გამოეთხოვა, იგრძნო, რომ დედოფალს გულით ახარებდა მისი არჩევანი.

ვახტანგმა შეხედა უფროს ვაჟს და დღეს პირველად იგრძნო, რომ მისმა პირმშომ სამართლიანად აირჩია ცხოვრების გზა და ამით მეფის ტახტზე სამუდამოდ უარი თქვა. ისიც ნათლად იგრძნო ვახტანგმა, რომ მეფის ტახტზე ნაკლები არ იყო შვილის არჩევანი.

სულხან-საბაც გამოვიდა, დალოცა ახალ გზაზე დამდგარი.

პაპუნას ტოლივით გულში ჩაეკრა ვახუშტი.

— კარგი მამულიშვილის ჯილდო თავისივე მოქმედებაა. ცხოვრების ძნელი გზების არასოდეს გეშინოდა. აი, ჩემი ამოსხმული ქალამნები, გადია ესმას მოქსოვილ წინდებზე ჩაიცვი, ფეხი არ გაგიცივდება, არც დაგისველდება.

გადია ესმა ვერსად დალანდა ვახუშტიმ, გაუკვირდა. დაენანა, წასვლის წინ გადია რომ ვერ ნახა. თავის ცხოვრებაში არა საქმე არ დაუწყია ესმას დაულოცველად; დალოცავდა, წაღმა შემოაბრუნებდა და მუდამ წაღმა მიდიოდა ვახუშტი ბატონიშვილის საქმე.

ქაშუეთის ეკლესიის კართან შავით მოსილი ლანდი გამოიკვეთა. მიახლოვებულმა ვახუშტიმ გადია შეიცნო, ძალზე გაეხარდა, მიეახლა, გულში ჩაიკრა, სახე და ხელები დაუკოცნა.

— არ მინდოდა შენი ლოცვა-კურთხევის გარეშე წასვლა, ჩემო გადია!

გადიამაც გაიხარა, გაზრდილი ესოდენ დიდი სიყვარულით რომ შეხვდა.

— შენ გაიხარე, შვილო, შენი გამზრდელის ლოცვა-კურთხევის გარეშე როგორ უნდა წასულიყავი, ბატონიშვილო, ჩემო ქოჩორა, ჭკვიანო, გამგებიანო, ენამოსწრებულო, მახვილგონიერო, ჩემო არწივო, ჩიტის გულის პატრონო, ქვრივ-ობლის და უპატრონოთა შემბრალევ, მწყალობელო, სამართლიანო, მტერთან შეუპოვარო და მოყვარესთან თავმდაბალო, — ათასი ღირსებით ამკობდა გადია ვახუშტის, როგორც ბავშვობისას იცოდა ხოლმე.

— ჩემო ტკბილო გადია, ჩემო კარგო გადია! — ვახუშტიც საალერსო სიტყვებს არ იშურებდა გამზრდელისათვის.

— მოიცა, ბატონიშვილო, წაღმა შემოგაბრუნო და გზა დაგილოცო. ღმერთმა წაღმა და კეთილად გატაროს, ყოველმა დღემ განგაშოროს ბოროტსა და შეგრთავდეს კეთილს. შენმა მოგზაურობამ მრავლად მოგცეს ნაყოფი, შეგეკრიბოს საუნჯე დიდძალი. შენი ცხოვრება შეგეძლო განსვენებით, განცხრომით, შვებითა, ნადირობითა და ნადიმობით განგევლო, შენ კი, მუდამ ცოდნისაკენ მიილტვოდი; შენი სურვილია განდევნა ბოროტისა, შეყვარება მოყვასისა, მატება ქვეყნისა, აღშენება, დამშვენება. ღმერთმა ხელი მოგიმართოს ყოველ საქმეში, ღმერთმა დღეგრძელი გყოს შენი ქვეყნისა და შენი ხალხის საკეთილდღეოდ! — სამჯერ წაღმა შემოაბრუნა გაზრდილი ესმამ.

თბილისის კარი უკვე შორს დარჩა. ვახუშტი და ვარდენი დაბურული ტყის ბილიკებზე მხიარულად და მხნედ მიაბიჯებდნენ. ორივე თავის საფიქრალს ფიქრობდა.

აბაშიძეებისაკენ უჩვეულოდ მიუწევდა გული ვახუშტის, ყრმობა იქ გაატარა, აბაშიძიანთ კარზე, და ნათლად ახსოვდა ის დღეები. მარიამ აბაშიძისკენაც იზიდავდა გული. უყვარდა მარიამთან გატარებული დღეები. თავის ასაკთან შედარებით უჩვეულოდ დინჯი იყო მარიამი. ობლობას თავისი დაღი დაესვა, მორიდებული იყო. მისი განუყრელი მეგობრები ძველი ხელნაწერები გახლდათ, მუდამდღე აბაშიძიანთ ხელნაწერების საცავში ტრიალებდა. ბიძასაც განსაკუთრებით უყვარდა ობლად გაზრდილი ძმისწული. მოხუცი გადიის სულობას — სამკურნალო ბალახების შეგროვებას პატარობიდანვე შეეჩვია მარიამი. აბაშიძიანთ კარმიდამოში თუ ვინმე ავად გახდებოდა, მარიამი [illegible]-ველი მშველელი, ამიტომ ყველას უყვარდა, ყველა დახმარებასა და შველას მოელოდა ამ სუსტი ქალისაგან. ვახუშტისაც განსაკუთრებით იზიდავდა ეს ქალი, უყვარდა მარიამის ცქერა, როცა ის ხელნაწერებზე დაიწყებდა ლაპარაკს, თვალები გაუბრწყინდებოდა, ხორბლისფერი სახე წამოენთებოდა და სადღაც გაქრებოდა სუსტი ქალი.

ვახუშტიმ თავი გაიქნია და მოიშორა ფიქრები მარიამზე. ვარდენს მიუბრუნდა:

— მარტო ბილიკებით სიარული არ გვარგებს, ვარდენ ჩემო, ქვეყნის სიღრმეში დაგვრჩება ასაწერი ადგილები!

— როგორც გნებოს, ჩემო ბატონო!

— ესეც დიღმის ველი. დაიხსომე, ვარდენ, თბილისს სამხრეთით აკრავს. უნაყოფოა, ბალახოვანი, მხოლოდ პირუტყვთა ზამთრის საძოვრად გამოდგება. ყველაზე უმთავრესი ასაწერი მტკვარია. მტკვარი საქართველოს უდიდესი მდინარეა, ქვეყანას შუაზე გადაჭრის. კოლას ყალნუს მთიდან გამოედინება, გამოივლის სამცხეს, ქართლს, ჰერეთს, რანს, შორს მოივლის მოვაკანს და სალიანს ქვევით ერთვის კასპიის ზღვას. მდინარე ღრმა არის, მდინარება ზოგან ჩქარი აქვს, ზოგან ნელი; გარს არტყია კლდენი ქარაფიანი. სამხრეთ-დასავლეთით მიემართება მთა მახვილოსი, რომლის ცხვირი მიერთვის ყერძნის მთის წვერებს და მტკვარს ძალზე ავიწროებს ამ ვიწრო გასასვლელს ტაშისკარს უწოდებენ, ესე იგი ქვის კარს. ამის დასავლეთით არის მცირე ქალაქი, რომელიც ახალდაბად იწოდება, უმეტეს ადგილზე ჭალიანი, ბალახიანი, ჩალიანი, ნადირიანი, ფრინვლიანი. თევზი მრავალი და გემოიანი იცის. თევზს იჭერენ ბადით, კანით, ფაცრით, ნემსკავით, საფიჩხულითა და ოხხითა.

განჯის ქვემოთ ზუთხსაც იპყრობენ. მტკვარს ერთვის ყველა მდინარე კოლის, არტაანისა, ჯავახეთისა, სამცხისა, ქართლისა, კოლხეთისა, ჰერეთისა, რანისა, მოვაკანისა და თვით არაზისა. სასმელად კარგია, გემოიანი და მარგებელი; ხშირად იცის მოდიდება, განსაკუთრებით აზარალებს თბილისის მარცხენა ნაპირს. მტკვრის გზა ერთმანეთს აერთებს შავსა და კასპიის ზღვას.

ის ღამე ვახუშტიმ და ვარდენმა ქვათახევის მონასტერში გაატარეს. სიმშვენიერით ხიბლავდა ადამიანს იქაური გარემო, გრილი ჰაერი, ყოველ ნაბიჯზე წყაროები. მონასტერთან ერთმანეთს ერთვის მდინარე კავთისხევი და გუდარეხის ხევი. მიდამოს კიდევ უფრო მომ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ხიბლავს ხდიდა მეფის აგებული სასახლე.

— ვარდენ, ეს მონასტერი მრავალტანჯულია, აქ შეყარა ლანგთემურმა მონასტრის მოწესენი და ქვათახევის მონასტერთან ერთად გამოწვა.

— ვაი, ვაი, ნეტა როდის იყო ჩვენი ქვეყანა დაწყნარებული!

კარგა ხანს ჩუმად მიდიოდნენ.

— ესეც დაბა ფონა. ეს ადგილები, ჩემო ვარდენ, მებოძირს ქვემოთ დაბის ქვაბამდე ქართლს ეკუთვნის, შემდეგ თანდათან ზევით მიდის შენი იმერეთი, იქ, სადაც ჩხერიმელას ჩრდილისხევი ერთვის.

— მეტისმეტი კლდე-ღრიანია აქაური მდინარეების ხეობები, ვაითუ ვერ შევძლოთ სიარული, მეტად ძნელი სავალია ზემო იმერეთი!

ვახუშტიმ ღიმილით გადახედა ვარდენს, არა უპასუხა რა; ვარდენმა, ალბათ, არ იცის ზემოიმერელთა სახლიშვილი რომ ვარ. ჩემი ძვალი და სისხლი ეგუება აქაურ ბუნებას.

— ჩუ, თითქოს ხმაური ისმის! — შეაჩერა ვახუშტიმ ვარდენი.

— აქ არავინ იქნება, ბატონიშვილო, ეს ადგილები მეტად უკაცრიელია და მიუდგომელი.

— სოფლები ძველთაგანვე მდინარის პირას შენდება. ვფიქრობ, მალე წავაწყდებით სოფელს. გაჩუმდი! — ყური მიუგდო ბატონიშვილმა. — გესმის? წისქვილის არხის წყალი ჩხრიალებს სადღაც!

— არა, ბატონიშვილო, აქ წყალი ყველგან წისქვილის არხივით ჩხრიალებს.

— მოიცა, ვარდენ, წისქვილის დოლაბის ხმა მოაქვს ნიავს.

ვარდენმაც ყური მიუგდო, ორივე ხელი ბაგეებზე აქეთ-იქედან მოიფარა და დაიყვირა:

— ჰე, ჰე, ჰე!

კლდეებმა აიტაცეს ვარდენის ხმა, ცხრა მთა გადაატარეს და შორს სადღაც ხეობაში ხმაურით ჩააგორეს.

— მოიცა, ბიჭო!

— თუ სადმე ვინმეა, ხმას მოგვცემს!

— ხეობას ჩავყვეთ.

ბატონიშვილი და მისი მხლებელი ძირს დაეშვნენ და მდინარის ნაპირს გაჰყვნენ. ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ. ვარდენმა დიდხანს ვერ გაუძლო სიჩუმეს, უნდოდა კვლავ ეყვირა, იქნებ ვინმე გამოეხმაუროსო, მაგრამ ბატონიშვილი მეტად დაფიქრებული მოეჩვენა, შეეშინდა, არ გავანაწყენოო, და დაბალი ხმით წამოიწყო ლაპარაკი:

— გაჩუმდი, ვარდენ, ყური მიუგდე!

— ბატონიშვილო, სადღაც წისქვილი ბრუნავს! — აღტაცებით წამოიყვირა ვარდენმა.

ვახუშტიმ გაიღიმა. წისქვილის ხმას მიჰყვნენ. უეცრად პატარა, ამწვანებული კორდი გამოჩნდა. წაბლის ხეებით იყო შემოჯარული და მდინარის კლდოვან ნაპირს გადმოჰყურებდა. ორ კლდეს შორის პატარა მთის წისქვილი ბუჩქებში შეყუჟული შეშინებული ბარტყივით გამოიყურებოდა.

— წისქვილი, წისქვილი! — შესძახა ვარდენმა და დამფრთხალმა მიმოიხედა.

— რა იყო, ვარდენ?!

— ასეთ წისქვილში დაგვეხსნენ თავს ლეკები! — ვარდენი კვლავ გარემოს ათვალიერებდა.

— არ შეშინდე, ვარდენ, ლეკები თავდასხმას ვერ გაბედავენ, განა დაგავიწყდა მეფის კანონი!

ვარდენმა დარცხვენით გაუღიმა ბატონიშვილს.

გეზი წისქვილისაკენ აიღეს. წისქვილის კარი ღია იყო, ჩამავალი მზე კარში იჭვრიტებოდა და შუაცეცხლის ალს ელიცლიცებოდა. ისინი წისქვილს მიუახლოვდნენ.

— მასპინძელო! — დაიძახა ვარდენმა.

წისქვილიდან მოხუცი გამოვიდა. ცალი ხელი წელზე მოედო, მეორით კი მზეს იჩრდილებდა, მოსულებს ხრინწნარევი ხმით გამოსძახა:

— ახლოს მობრძანდით, ბატონო, თვალი დამაკლდა, ვერ გიცანით!

— საღამო მშვიდობისა! — მიესალმა ვახუშტი მოხუცს.

— ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგაკლოს, ჩემო ბატონო!

— ძიაკაცო, შორიდან გეახლებით, გვინდა წისქვილში ჩავიმუხლოთ.

— მობრძანდით, ბატონო, სტუმარს რა სჯობია, სტუმარი მუდამ სანატრელია, ჩემო ბატონო! — მოხუცი წისქვილში შეუძღვა სტუმრებს. — აქეთ მობრძანდით, საღამოს ბინდზე აგრილება იცის, მზე ეგრერიგად ვერ ატანს ჩვენამდე.

მზე მართლაც სწრაფად მოეფარა გორას და ხეობაში ბინდი ჩამოწვა.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, თუ იკადრებთ ჩემ ღარიბ კერას, ჩემ მწირ სუფრას! — დაფაცურდა მოხუცი. ვარდენმა ხურჯინი მოიხსნა, კუთხეში მიაყუდა, ვახუშტიმაც ჩამოიღო ხურჯინი, საიდანაც ქაღალდების გრაგნილი ჩანდა.

— აი ამ სამფეხაზე დაბრძანდით, ჩემო ბატონო! თქვენი საკადრისი არ არის, მაგრამ აქ მეტი არაფერი გვაქვს! — ცეცხლთან მიიწვია სტუმრები მეწისქვილემ.

— უჰ, უჰ, უჰ, როგორ მიამა სითბო! — ცეცხლს ხელები მიაფიცხა ვარდენმა.

— ახლავე სუფრას გავშლი, ჩემო ბატონო! — კედლიდან დაბალი ტაბლა ჩამოხსნა მეწისქვილემ, კედელშივე გართხმული ფიჩხით გადაწმინდა და სტუმრებს წინ დაუდგა. — ეს არის, ახლა ჩამომიტანა ჩემმა დედაკაცმა სახარჯო. — ბერიკაცმა თხელ-თხელი, ფოფლიანი მჭადები ამოალაგა, ნაქურჩალით თავდაცული, ღვინით სავსე ხელადა ამოიღო, თიხის ჯამით სოკო, ჭყინტი ყველი მოართვათ. — მიირთვით, ჩემო ბატონო, სახარბიელო არაფერი გვაქვს, თავს ვერაფრით მოგაწონებთ, მაგრამ, თუკი გშია ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარიაო, ხომ გაგიგონიათ. სახლი რომ ახლოს მქონდეს, სხვა რამესაც გაახლებდით, მაგრამ დავუძლურდი, მიმძიმს ჩვენი ბილიკების არბენა. ჰაი გიდი, ძნელი ყოფილა სიბერე! — ფუსფუსებდა მოხუცი დაბალი სუფრის გარშემო. — აქვე არხში ხელი დაიბანეთ! — წისქვილის უკანა კარი გამოაღო მოხუცმა. ვახუშტი არხთან მიეიდა, ცივი წყალი შეისხა და სიამოვნებით აფრუტუნდა.

— დაილოცოს კუთხე, სადაც ასეთი წყალი გამოდის!

— უჰ, რა ცივია! — შეიცხადა ვარდენმა!

წისქვილში შევიდნენ და სუფრას მიუსხდნენ.

სტუმრები გულიანად ილუკმებოდნენ, მასპინძელიც ჩქარ-ჩქარა ავსებდა ჯამებს ცივი, სახარჯო ღვინოთი, თან ბოდიშობდა:

— თქვენისთანა სტუმრებს ასეთი ღვინო არ ეკადრებათ, მაგრამ რა ვქნა, ჩემო ბატონო, ღარიბი კაცის სახმარია ეს, ამიტომაც ჰქვია სახარჯო.

დაღამდა, წისქვილში ახალმა მთვარემ შემოიჭვრიტა.

— ცივი გაზაფხულია წლეულს, ჩემო ბატონო. ხედავ, მთვარეს ერთიანი ბაკი აქვს, მომავალი დღეები ნისლიანი, ღრუბლიანი და ცივი იქნება.

ვახშამი დაამთავრეს. მოხუცი აფუსფუსდა: — რა ვქნა, ჩემო ბატონო, თქვენი შესაფერი მოსასვენებელი არა მაქვს.

— თავს ნუ იწუხებ, მოხუცო, კერის პირას ჩავთვლემთ მხოლოდ.

— როგორ გეკადრებათ, შენ ხარ ჩემი ბატონი. თუ იკადრებთ, უკაცრავად პასუხია, ამ ფიჩხზე ნაბადს გადაგიფარებთ! — კვლავ წრიალებდა მოხუცი.

— მოითმინე, მოხუცო, შენ ნუ შეწუხდები, მე თვითონ მოვუწყობ ბატონიშვილს საწოლს! — დატრიალდა ვარდენი, ფიჩხი კუთხეში მიაგროვა, ზედ თავისი ნაბადი გადააფარა! — ბატონიშვილო, მოისვენეთ, თქვენი ნაბადი ზევიდან წაიხურეთ.

დაღლილ ვახუშტის ბუმბულივით მოეჩვენა ფიჩხის ლოგინი, სარეკელას ხმაური გადიას ნანასავით ჩაესმა...

მიუხედავად მეწისქვილის დიდი პატივისა, ვახუშტიმ ადრიანად დატოვა წისქვილი.

დაბურული ტყის ბილიკზე მიაბიჯებ-დნენ ბატონიშვილი და მისი მხლებელი. ერთხანს მდუმარედ მიდიოდნენ, ბოლოს ვახუშტიმ თქვა:

— ვარდენ, ხურჯინი დადე, ჩხერიმე-ლასათვის უნდა ჩავწერო.

ვარდენმა საუზმის გაწყობა დაიწყო. ვახუშტი საწერად მოემზადა და მის ჩანაწერებს კიდევ ერთი მიემატა.

მერე კვლავ ჩუმად განაგრძეს გზა. ზემო იმერეთში მოგზაურობა ფრიად გაძნელდა: უგზოობა, მოსახლეთა სიმ-ცირე... პატარა მდინარის ხეობას გაჰ-ყვნენ. ეს მდინარე ყარნებად იწოდე-ბოდა, ვეებერთელა ლოდებზე მხიარული ცეკვითა და სიცილით გადარბოდა, ზოგ-ჯერ პიტალო კლდეებთან შეჭიდებისას ქაფად იღვრებოდა. როგორც კი დასძ-ლევდა კლდეებს, კვლავ გამარჯვებული აკისკისდებოდა და მიდიოდა ციბრუტი-ვით ტრიალ-ტრიალით.

ღამე უბისის ტაძარში გაათენეს... ბერები გულუხვად გაუმასპინძლდნენ თაფლით, ახალი რძითა და ხაჭაპურე-ბით. უბისის ტაძრეულის ბერებს იშვი-ათად ეწვეოდათ ვინმე, მიუვალ ადგი-ლებში სტუმარი არც ეგრე ადვილი სა-ნახავი იყო. ქალაქიდან, მეფის სახლი-დან მისულთა გამასპინძლებაში ერთმა-ნეთს ეჯიბრებოდნენ. ის ღამე ტკბილ საუბარში გაატარეს. ბერებმა ბევრი რამ კარგი ურჩიეს და ასწავლეს ახალგაზრ-და ბატონიშვილსა და მის მხლებელს.

მოლითს მიაღწიეს მგზავრებმა. გაი-ვაკეს.

— ამ მიდამოში ხშირია მჟავე წყალი. სანამ ლეკები მომიტაცებდნენ, მახსოვს, საქონელს ჩავდენიდით დასარწყულებ-ლად. უყვარს პირუტყვს მჟავე წყალი, — აცნობდა ვარდენი ბატონიშვილს მშობ-ლიურ კუთხეს, სადაც ბავშვობის წლე-ბი გაეტარებინა.

— ჩვენ ყველა მათ[illegible]-ლებით, ვარდენ, მათ [illegible] წერთ

საცალფეხო გზით მიჰყვებოდნენ შეღ-მართს. მიუვალი გზა იყო — მაყვლისა და ეკლის ბარდებს ძლივს იშორებდნენ, არც კატაბარდა აყრიდათ კარგ დღეს.

— აი აქ, ამ ხეობაში, ბატონიშვი-ლო, მომდინარე წყალს ნუნისი ეწო-დება. მახსოვს, ცხენს თუ იარა გაუჩნ-დებოდა, აქ ჩამოვრეკავდით, ზურგზე წყალს ვასხამდით და იკურნებოდნენ. ხალხიც ხშირად მოდის კანის სნეულე-ბათა სამკურნალოდ.

ხეობის ძირში, სადაც ხის ღარზე ცივი წყალი მოწკრიალებდა, იდგნენ ბატონიშვილი ვახუშტი და ვარდენი. ვახუშტის თავბრუ დაახვია ხეობის სი-ლამაზემ. თვალები მოიფშვნიტა, ხეო-ბიდან ზეცას ახედა და აღმოხდა:

— უჰ, რა ლამაზია აქაურობა! — ვარდენმა წყაროს ნაპირზე სახელდახე-ლო სუფრა გაშალა და ბატონიშვილს დასაჯდომად ხავსით დაფარული სიპი ქვა დაუდო. გემრიელად ისაუზმეს.

— საღამომდე აქ დავრჩეთ, ვარდენ, აქაურობა დაწვრილებით უნდა აღვ-წერო.

მზე შუბისტარს გაუსწორდა, ხეობაში სხივები ჩამოასხა, მიძინებული ბალახე-ბი წამოაყელყელავა. მინდვრის ყვავი-ლებმაც თვალები დააჭყიტეს. იელის, შქერისა და გვიმრის ბუჩქებში შეფა-რებული თოვლის ნაფლეთები ცრემლად დაიღვარა.

— ჰე, ჰე, რომელი ხარ მანდ?!

— ჰე, ჰე, ჩამოდი და გვინახულე, ჩემო ბატონო! — ასძახა ვარდენმა.

ვიწრო ბილიკზე ქალი და კაცი ხე-ვისაკენ ძლივს ეშვებოდნენ, ქვები, მგზა-ვრებთან ერთად, ლიწინით მოგორავ-დნენ.

— გამარჯობათ, ბატონო!

— ღმერთმა გამარჯობა არ მოგაკ-ლოთ!

— ბღარს თხილმა და კაკალმა გვი-წყინა, საყმაწვილო აეშალა, იქნებ ამ წყალმა უშველოს.

ბავშვს თვალებიღა უჩანდა, სახე და ტანი მთლიანად დაიარავებოდა. დედა ფრთხილად ხდიდა ძონძებს. ვახუშტი შეზარა ბაღლის დაიარავებული ტანის დანახვამ, დედამ შვილი ღარს შეუყე-ნა. ბავშვი შეაკრთო ცივმა წყალმა, კი-ვილი დაიწყო, ვახუშტიმ თვალი აარი-და.

საღამოს ბინდი ჩამოწოლილიყო, რო-ცა აბაშიძეებისას ფაციფუცი შეიქნა. მოულოდნელმა სტუმრობამ მეტად გა-ახარა ისინი. სვიმონ აბაშიძემ აღარ იცოდა, რით ესიამოვნებია მოსულები. ვახუშტი აბაშიძე სიხარულით ცას ეწია.





კ. მარქსის სახ. სახ. ბიბ.

გიორგი
შაჭბერაშვილი

# მერცხლის ბუდე



მხატვარი ზ. ფორჩხიძე.

გაბრიელმა ხან ხმას აუწია, ხან ხელი ხელს შემოჰკრა, ხან თითით დაემუქრა აყივყივებულ შვილიშვილებს, ბოლოს, მეტი რომ ვერაფერი მოახერხა, გაბრაზებულმა მაგიდის კუთხეს გაშლილი ხელი მთელი ძალით დაჰკრა და ფეხზე წამოდგა. მაგიდა შეზანზარდა, ჭიქები და ლამბაქები აწკრიალდა, ოქროსფერი ძველი სამოვარი შეტორტმანდა, მის თავზე შესკუპებული ჭრელი ჩაიდანი შეზრიალდა, წინ გადმოიხარა და მილიდან ბოლქვებად ორთქლი ამოუშვა. დიდედა კატომ ხელი შეაშველა ჩაიდანს და ქმარს საყვედურით გახედა.

ქერანაწნავებიანმა პატარა მზიამ წყენით თავი ჩაღუნა, შუბლი მაგიდის კიდეს დააყრდნო და ასლუკუნდა. მზიას გვერდით მჯდარი ნიკოც შემკრთალი შეჰყურებდა ფეხზე წამომდგარ განრისხებულ პაპას. სულ პატარა, მუდამ მოტიტინე ვანოც გატრუნულიყო, ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ყველას და დედის კალთიდან მამის მუხლებზე გადაცოცებას ცდილობდა.

— რა დაგემართათ, ისეთი ალიაქოთი ასტეხეთ, თითქოს ქვეყანა იქცეოდეს. მერცხლის ბუდეა, სასახლე ხომ არ არის, დაინგრევა და დაინგრეს! — წამოიძახა გაბრიელმა და ოთახში გაჯავრებით გაიარ-გამოიარა.

ამის თქმა და წუთით განაბული ბავშვების ახმაურება ერთი იყო. მზია უფრო მეტად ასლუკუნდა, ნიკომ რაღაც წამოიძახა, ფეხზე წამოდგა და დედასთან მიირბინა. პატარა ვანომ საშინელი ჭყივილი ასტეხა. დიდები პატარებს ამოშ[illegible]დნენ, ტუქსავდნენ, უყვავ[illegible]დნენ, [illegible]ტარები მაინც არ იშლიდნენ, არ ჯუნარდებოდნენ, თავისას [illegible]დნენ.

[illegible] ბიბლიოთეკა

— ჩაი გაცივდა, — პირქუშად ჩამოასხადა დიდედა კატომ.

— არ მინდა, არ მინდა!.. ბუდეს ნუ ჩამოშლით, არ მინდა! — ჯიუტად იმეორებდა მზია, ჩაის ფინჯანს განზე სწევდა და თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

ფანჯარასთან გაჩერებული გაბრიელი უცებ შემობრუნდა, მზიასთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა, დაუყვავა და ტკბილი ხმით უთხრა:

— მაშ, რა ვქნათ, შვილო, მერცხლის ბუდის გამო სახლის შეკეთებას თავს ხომ ვერ დავანებებთ? ჰა, როგორ მოვიქცეთ, ვიცხოვროთ ამ ერთ პატარა ოთახში?!.

მზია თავჩაღუნული უსმენდა და თავის დღიურზე ფიქრობდა. ამ დღიურში ის სოფელში მოსვლის პირველი დღიდანვე იწერდა მერცხლების ყოველდღიურ თავგადასავალს. აკვირდებოდა, გულმოდგინედ უთვალთვალებდა, როგორ ისხდნენ მერცხლები ახალდადებულ კვერცხებზე, როგორ გამოჩეკეს ბარტყები, როგორ ფაქიზად უვლიდნენ, თავსევლებოდნენ, უფრთხილდებოდნენ და იქვე განაბულ გოგონას სიყვარულით ჩამოქლურტულებდნენ.

ახლა კი...

რაღა უნდა ჩაწეროს დღიურში? როგორ დაამთავროს? როგორ ჩაწეროს დღიურში, რომ მის ოჯახში მერცხლის ბუდე შეუბრალებლად დაანგრიეს და ბარტყები... არა, არა, ეს არც მოხდება და არც ჩასწერს ამას დღიურში. როგორ უნდა უჩვენოს ასეთი დღიური მასწავლებელს, ამხანაგებს!..

ყველა გაჩუმებულიყო. კედლის საათის ტიკტიკი მკაფიოდ ისმოდა. სხვა ოთახებიდან გამოტანილი ავეჯით უწესრიგოდ მოწყობილ ოთახში.

— მერცხლებს ბარტყები ჰყავთ... ისეთი პატარა, პატარა ბარტყები. რომ... სანამ დააფრენდნენ, ნუ ჩამოუშლით ბუდეს... — მზიას ხმა ჩაუწყდა, ვედრებით შეხედა მოხუცს და თვალები ისევ ცრემლით აევსო.

— ერიჰაა! — წამოიძახა გაბრიელმა, — ბარტყების დაფრენას მერცხლები ერთი-ორი კვირა მაინც მოუნდებიან. აბა ეს როგორ იქნება!

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა მეორე ოთახის ჭერზე მიკრულ მერცხლის ბუდეზე ფიქრობდა. ეზოდან ბირდაბირის ხმა ისმოდა, უზარმაზარ ხეს ხერხავდნენ მხერხავებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალამინი შრიალებდა, გაზაფხულის ნიავი აივანზე ბურბუშელას ფახ-ტავდა.

— სულ ჩემი ბრალია, — წამოიწყო დიდედა კატომ და შვილიშვილებს სიყვარულით გადახედა. — ამ გაზაფხულზე ეგ მერცხლები რომ მოფრინდნენ, გული სიხარულით გამეხსნა, ასე მეგონა, თბილისიდან ჩემი პატარების მოსვლა მახარეს... ოთახში ბუდის გაკეთება რომ დაიწყეს, ორჯერ მაინც ჩამოვუშალე, იქნებ აივანზე ააშენონ-მეთქი... შენც არ მომიკვდე, ისე ჩამჟღურტულებდნენ, თითქოს მეხვეწებიან, ბუდეს ნუ მოგვიშლიო... აბა, რა მექნა? სულ ჩემი ბრალია, ჩემი...

— ახლა ამ ამბავს უბედურებად ნუ გადააქცევთ, — შეაწყვეტინა პაპა გაბრიელმა აცრემლებულ ცოლს. — აღარ გახსოვთ, შარშან სოფლის გზა რომ გააფართოვეს, ჩვენი მეზობლის — დიმიტრის სახლის აღება გახდა საჭირო, ოთხოთახიანი მოწყობილი სახლის! ხუმრობა საქმე ხომ არ იყო! რა ქნა მერე დიმიტრიმ?

— რა ქნა? — უცებ გაოცებით შეეკითხა თვალებგაფართოებული ნიკო.

— რა ქნა და, ხმაც არ ამოუღია. საჭიროო საქმეს წინ რა დაუდგება?.. ადგა და სახლი სხვა ადგილას გადაიტანა! რა გახდა ეს ერთი მერცხლის ბუდე, რა გახდა?!

— როგორ გადაიტანა? — კვლავ შეეკითხა ნიკო.

— მომისმინეთ! — უცებ სიხარულით წამოიყვირა ნიკომ და ფეხზე წამოხტა, — რადგან დანგრევა და სხვაგან ახლის აშენება შეუძლებელია, ჩვენი მერცხლების ბუდე გადავიტანოთ აივანზე!

— მალე მორჩით და გაათავეთ! — შვებით ამოისუნთქა გაბრიელმა.

— აივანზე მართლაც კარგი იქნება, აივნის ჭერი უკვე შეკეთებულია. აბა საქმეს შევუდგეთ! — ჩაერია საუბარში აქამდის გაჩუმებული ნიკოს, მზიას და ვანოს მამა და ისიც ფეხზე წამოდგა.

ყველამ მეორე ოთახს მიაშურა.

ოთახში ხელოსნები გამალებით მუშაობდნენ. ყველაზე მაღალი კიბე მიედგათ და სუფთად გაშალაშინებულ ფიცრებს ჭერზე აკრავდნენ. ისმოდა ჩაქუჩის რახუნი, ხელოსანთა შეძახილები.

დაბალი ტანის ქერა ხელოსანი კიბიდან ჩამოვიდა, შუბლიდან ოფლი მოიწურა, გაბრიელს ღიმილით თვალი ჩაუკრა და მის გვერდით მდგარი ნიკო ჭერის ერთი კუთხისაკენ მიახედა.

— აგერ, იმ კოჭის ჭუჭრუტანაში კრაზანასაც ჰქონია ბუდე. წელან ფიცარი რომ ავაჭედე, გამოქანდა და ხელზე მიკბინა... ვაითუ კვერცხები დარჩა ბუდეში. რა ვქნათ, ბიჭო, ხომ არ ავყაროთ ფიცარი, ჰა?..

— ძია სოსე, კრაზანა კრაზანაა და მერცხალი მერცხალი! — წამოიძახა ნიკომ და წყენით თავი ჩაღუნა — მერცხლის ბუდეს არ დავანგრევინებთ, ჩამოვიღებთ და აივნის ბოლოზე გადავიტანთ!

— ჰო, ეგ კარგად მოგიფიქრებიათ... აბა, თქვენ იცით. ოღონდ ფრთხილად, არ ჩამოგენგრეთ...

ხელოსანმა გაბუტულ ნიკოს მხარზე ალერსით დაჰკრა ხელი, ნიკამ აუწია, ეშმაკურად გაუღიმა, მერე კუთხეში მიყუდებული კიბე მოარბენინა.

ბუდის ქვეშ დადგმულ გასაშლელ კიბეზე ერთი მხრიდან სოსე ავიდა, მეორე მხრიდან ნიკო. ბუდის პირი მის მხარეს იყო. ნიკომ ფრთხილად ჩაიხედა ბუდეში. ხმაურზე ოთხმა ოდნავ შეღინღლულმა ბარტყმა ერთად ასწია ყვითელი, დიდი თავი, პირი ფართოდ დააღო და მხიარულად აქივქივდა. ნიკომ ჯიბიდან დანა ამოიღო, გაშალა და

დაიწყო ბუდის მოშორება ძველი, ჩაშავებული თავხედან. ბუდე გაქვავებულიყო, პატარ-პატარა ნაფშვენები ცვიოდა იატაკზე.

— ვაიმე, ბარტყები არ ჩამოცვივდნენ! — იძახდა შეწუხებული მზია და თვალს არ აშორებდა ბუდეს.

სოსემ ნაბდის ქუდი მოიხადა და ქვევიდან შეუშვირა ბუდეს.

— სჯობს ჯერ ბარტყები ამოსხათ და ბუდე ისე მოხსნათ! — შესძახა დიდედა კატომ და მეორე ოთახიდან ბალიში გამოიტანა.

ჯერ პირველი ბარტყი არც კი ჩამოეწოდებინა ნიკოს, რომ ოთახში შეშფოთებული მერცხლები შემოიჭრნენ, ბიჭის თავზე ტრიალებდნენ, ბუდის მახლობლად დაჰქროდნენ, გამწარებით ჟღურტულებდნენ... მერე ისევ გარეთ გაიჭრნენ და თვალს მიეფარნენ.

ბარტყები უკვე რბილ ბალიშზე ისხდნენ და გრძელ კისრებს საცო-



## პიონერული

### გალაკტიონ ტაბიძე

დიდება მარად დღე
ჩვენს მშობლიურ მთა და ბარს!
აბა ჰე, აბა ჰე,
პიონერო, მხარი მხარს!

დროშების მთელი ტყე,
დაე, გვევლებოდეს გარს!
აბა ჰე, აბა ჰე,
აბა მივცეთ მხარი მხარს!

იგრძნობს ბოროტების ხე
კანკალსა და შიშის ზარს —
აბა ჰე, აბა ჰე,
აბა მივცეთ მხარი მხარს!

მშვიდობის დიდი დღე
დასძლევს გრიგალსა და ქარს.
აბა ჰე, აბა ჰე,
პიონერო, მხარი მხარს!

დაიბეჭდა „პიონერში“ 1957 წელს.

დავად ასავსავებდნენ, რომ ოთახში ახლა ორის ნაცვლად, მერცხლების მთელი გუნდი შემოიჭრა. მერცხლები ბუდესთან ახლოს მისვლას ვერ ბედავდნენ, ოთახში დასრიალებდნენ და გამყინავი ჟივილ-ხივილით ცდილობდნენ ნიკოს და სოსეს შეშინებას, რომელთაც, როგორც იყო, ბუდე უვნებლად მოაშორეს თავხეს და დაბლა ჩამოვიდნენ. — მეე... რცხალო, მე...რცხ-ალო, ნუ გეშინია, მე... რცხა-ლო... არაფერს გავნებთ, მე... რცხალო! — შესძახოდა ქვემოდან დიდედა კატო, მაგრამ მერცხლები არ მშვიდდებოდნენ... ისინი ახლა იმ ადგილს მისცვივდნენ, სადაც ბუდე ეგულებოდათ. ჰაერში გაჩერებულნი, ფრთების ფართფატით ათვალიერებდნენ ნაბუდარს, უცებ საოცარი ძღურტულით, თითქოს თავის უბედურებას მიხვდნენ და შეიცხადესო, ბუდეს მოშორდნენ და ერთბაშად ისევ გარეთ გაფრინდნენ.

„გაფრინდნენ... ვაითუ სამუდამოდ გაფრინდნენ და აღარც მოვიდნენ. ვაითუ მიატოვონ ბუდეც, ბარტყებიც!.. მერე?..“ — ფიქრობდა შეწუხებული მზია და ბალიშის შუაგულში რბილად მოკალათებულ ბარტყებს სიბრალულით უთვალთვალებდა.

მაგრამ განა ასე ადვილად დასთმობდნენ მერცხლები თავის ნაამაგარ ბუდეს, საყვარელ ბარტყებს! ის-ის იყო, სოსემ აივნის ბოძს კანაფით ფრთხილად მიაკრა ბუდე, ის-ის იყო, ნიკომ სათითაოდ ჩასხა ბარტყები შიგ, რომ მერცხლები ისევ შემოფრინდნენ ეზოში. ჯერ შორიახლოს დაჰქროდნენ, მერე ერთი, ყველაზე გამბედავი, აივანზეც შემოსრიალდა, აივნიდან ოთახში შეფრინდა და ნაბუდარს მიაშურა. მას სხვა მერცხლებიც შეჰყვნენ. მათ დიდხანს იფართფატეს ჩამოშლილ ნაბუდართან, მერე აივანზე გაფრინდნენ და ბოძებს შუა გაჭიმულ თოკზე ჩამოსხდნენ.

— აქა, აქა, მერცხალო, მერცხალო! — შესძახოდა მზია და ბუდისკენ უთითებდა.

— აქა... აქა... მეცა... მეცა... — ტიტინით იმეორებდა პატარა ვანო და მზიას უკან დასდევდა.

თოკზე მსხდარ მერცხლებს კისრები წაეგრძელებინათ, აჟივჟივებული ბარტყების ძახილიც ესმოდათ, მაგრამ ბუდესთან მისვლას ვერ ბედავდნენ, ეჭვით გასცქეროდნენ, გაქვავებულნი ისხდნენ.

უცებ შურდულივით მოსწყდა ერთი მათგანი ადგილს და თვალს მიეფარა. დანარჩენებმაც მას მიბაძეს.

გავიდა ერთი საათი, ორი... ოთახში სოსე ჩაქუჩს არაკუნებდა. ეზოში ბირდაბირის, რანდისა და შალაშინის ხმაური ისმოდა. ბავშვები ჩუმად ისხდნენ და აივნის თავში ბოძზე მიკრულ ბუდეს გასცქეროდნენ, მერცხლების გამოჩენას მოუთმენლად ელოდნენ... ბუდეში დამშეული ბარტყები მინაბულიყვნენ, ბურბუშელის ყოველ გაშრიალებაზე თავს მაღლა სწევდნენ და საცოდავად ძღურტულებდნენ.

მერცხლები კი არ ჩანდნენ.

— მე წავალ, ჩემი ბრიგადის წევრებმა გაიარეს, — წასჩურჩულა გაბრიელმა დიდედა კატოს, კიბისკენ გაემართა და, როცა გრძელ ტახტზე დაღონებით მსხდომ შვილიშვილებს ჩაუარა, წამით შეჩერდა, თავს დამნაშავედ გრძნობდა, ბავშვები [illegible]ლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ გეშინიათ, მოვლენ, მოვლენ თქვენი მერცხლები!

მზიას გული აუჩუყდა და პაპას თვალი მოარიდა. ნიკომაც წყენით ჩაღუნა თავი.

პაპა კიბეზე დინჯად დაეშვა.

— რომ არ მოვიდნენ? — გულისტკივილით მიაძახა მზიამ.

გაბრიელს უკან აღარ მოუხედავს, ეზოს ჭიშკარი გაიხურა და თვალს მიეფარა.

— მოვლენ, შვილო, განა შეიძლება მშობელმა თავისი შვილები მიატოვოს? — ამშვიდებდა დიდედა კატო მზიას, მაგრამ თვითონაც გული ეთანაღრებოდა, ეჭვობდა, იქნებ მერცხლები შეშინდნენ, დაფრთხნენ და ბუდეს აღარ მოეკარონო. მცირე ხნის შემდეგ დიდედაც ეზოში ჩავიდა, ხელონსნებს სამხარი უნდა გავუმზადოო. ნიკომაც აივნის კუთხეში მიყუდებული პატარა თოხი აიღო და სიმინდის სათოხნელად გასწია. იქვე ეზოში თავისი ხელით დათესილი სიმინდი ჰქონდა, გულდაგულ უვლიდა, ხშირად რწყავდა და თოხნიდა.

ახლა კი გული ვერ დაუდო მუშაობას. ერთი-ორჯერ რომ გამოუსვამდა თოხს, მერე ზევით, ცაში აიხედავდა, მერცხლები ხომ არ გამოჩდნენო. ცას რომ მოათვალიერებდა, ახლა აივნის მოაჯირთან მდგომ ცხვირჩამოშვებულ მზიას გახედავდა ცალი თვალით და ისევ უგულოდ განაგრძობდა თოხნას.

დადგა სადილობის დრო. ყველანი დიდი მაგიდის ირგვლივ ჩამოსხდნენ ხმას არავინ იღებდა. ყველა მიტოვებულ ბუდეში მსხდომ ბარტყებზე ფიქრობდა.

— მერცხალი ძალიან მოსიყვარულე ფრინველი მეგონა, — დაარღვია სიჩუმე დიდედა კატომ და პაპა გაბრიელს გახედა, — მაგრამ ახლა დავრწმუნდი, რომ პირიქით, გულქვა და შეუბრალებელი ყოფილა. ბარტყების ასე მიტოვება შეიძლება? განა კრუხი თავის წიწილას თავს დაანებებს? ხომ გინახავს, როგორ ებრძვის ხოლმე ქორს... ან კიდევ...

— არა, დიდედა... მე მგონია, ეს ყველაფერი ჩვენს მერცხლებს მოუფიქრებლობით, უჭკუობით ემართებათ, ვერ მიმხვდარან, რა მოხდა, ვერ მიმხვდარან, რომ ბუდეს ადგილი შევუცვალეთ! — სიტყვა ჩამოართვა ნიკომ.

— არა, არა! — წამოიძახა მზიამ წყენით, — ჩემი მერცხლები შეუბრალებლები არ არიან და არც უჭკუონი... აბა ჩვენ დაგვინგრიონ სახლი, აბა ჩვენ აგვაწიოკონ, განა არ

შეგვეშინდება?.. მე მგონი, მერცხლებს თავზარი დაეცათ, დაფრთხნენ, შეეშინდათ და ვერ გამორკვეულან...

აქამდის გაჩუმებულმა პაპა გაბრიელმა მზიას გაუღიმა, თავი დაუქნია და მშვიდად თქვა:

— მე მგონია, ყველაზე ახლოს სიმართლესთან მზიას ნათქვამია... მერცხლები მართლაც შეშინდნენ, თავზარი დაეცათ. სიფრთხილის გამო ბუდეს არ ეკარებიან. აი, ნახავთ თუ არ დაუბრუნდნენ ბუდეს!

— მაგრამ მანამდე ბარტყები ხომ



შიმშილით დაიხოცებიან! — წამოიძახა მზიამ.

ყველამ ერთმანეთს შეხედა. ამ სიტყვებმა ყველა დააფიქრა. სადილიც გაუგემურდა... სუფრაზე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

სადილის შემდეგ ნიკომ მზია ცალკე გაიხმო და საიდუმლოდ წასჩურჩულა:

— წელან, სიმინდს რომ ვთოხნიდი, აუარებელი ჭიაღუა ვნახე... და გადავწყვიტე...

— ჰო, მივხვდი, მივხვდი, რა კარგია! — წამოიძახა სიხარულით მზიამ.

— ჩუმად, ჯერ ნურავის ეტყვი, ეს ჩვენი აღმოჩენა იყოს! — გააფრთხილა ნიკომ. — თუ ამ ერთ-ორ საათში მერცხლები არ მოფრინდნენ...

— კარგი, ასე მოვიქცეთ... მაგრამ ვაითუ ჩვენი ჭიაღუა იუცხოვონ და არა ჭამონ, მერე?..

— ვნახოთ... ცდა ბედის მონახევრეა!

ორი საათი გავიდა, სამიც და მზეც ჩაიწვერა დასავლეთისკენ. მერცხლები მაინც არსად ჩანდნენ. ნიკო და მზია ცას შესცქეროდნენ.

კარგად შეღამებული იყო, როცა პაპა გაბრიელმა სახლის კარი შეაღო. ოთახში სიჩუმე იყო, მხოლოდ მძინარეთა ფშვენა და საათის განუწყვეტელი ტიკტიკი ისმოდა. ყველას ეძინა. გაბრიელმა იცოდა, რომ კატოს ჯერ არ ეძინებოდა. მისი ტახტისკენ ნაბიჯი ფრთხილად გადადგა. უნდოდა ჩუმად ეკითხა, მერცხლები დაბრუნდნენ თუ არაო, მაგრამ უნებურად რაღაცას დაეჯახა. გაისმა ბრახუნი. კატომ მხარი მოინაცვლა და კედლისკენ ბუზღუნით გადაბრუნდა.

გაბრიელი თითისწვერებზე შემობრუნდა, წაქცეული სკამი ხელში აიღო, მაგიდასთან მჯ[illegible]ას ამოუწია და მისთვის [illegible] ტილოგადაფარებულ ვახშამს მიუჯდა. უცებ მან მაგიდის კიდესთან საწერ-კალამი და გაშლილი რვეული დაინახა. მოხუცმა მზიას დღიური იცნო. რვეული ლამპასთან ახლოს მისწია და სათვალე ამოიღო.

„... ივლისი, 1953 წ. საღამოს 10 საათი.

ისე დაღამდა, რომ მერცხლები მაინც არ მოფრინდნენ. ნუთუ მართლა მშობლიური გრძნობა არ გააჩნიათ. როგორც დილას დიდედა კატომ თქვა. არა, არა, მე მჯერა... საცოდავი ბარტყები ისე დასუსტდნენ, რომ თავს ველარ სწევდნენ მაღლა. რა ჭკვიანი ძამიკო მყავს. რა კარგად მოიფიქრა. ეზოში აუარებელი ჭიაღუა მოვაგროვეთ და ბარტყებს მივუტანეთ, რომ მოგესმინათ, შეგებრალებოდათ, ისეთი ქღურტული და ჭყიპინი ასტეხეს. კარგად გაძღნენ და დაიძინეს... ეს რომ არ გაგვეკეთებინა, ვინ იცის, გაუძლებდნენ თუ არა მთელი დღე-ღამის შიმშილს. ცოტათი დავწყნარდით. თუ მერცხლები არ მოფრინდებიან, როგორმე ჩვენ გამოვზრდით საცოდავ ბარტყებს... ჩვენც ვიძინებთ. პაპა გაბრიელი იგვიანებს. ვიცი, ისიც სწუხს. მაგრამ სად სცალია ჩვენი ბარტყებისათვის, კოლმეურნეობაში აუარებელი საქმე აქვს... ვიცი, ჩემს დღიურში ცალი თვალით მაინც ჩაიხედავს და ძალიან გაახარებს ჩვენი მოფიქრება. ნეტავ ხვალ დილით მაინც მოფრინდნენ?!“

გაბრიელმა გაიღიმა, მზიას საწოლისკენ სიყვარულით გაიხედა. „კარგი, მოსიყვარულე გოგო გვეზრდება“, — გაიფიქრა მან, შუქი ჩააქრო და ლოგინში ჩაწვა.

მეორე დილით ჯერ პაპა გაბრიელსაც არ გაღვიძებოდა, რომ მზიამ თვალი გაახილა, იქვე მეორე ტახტზე მწოლიარე ნიკოს ხელი ფრთხილად გაჰკრა და გამოაღვიძა. ორივენი ჩუმად წამოდგნენ და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდნენ აივანზე. წყნარი, ძალზე წყნარი დილა იყო. მზე ჯერ არ ამოსულიყო. ბავშვები ეზოში ჩავიდნენ და ჭიაღუების მოგროვებას შეუდგნენ, თან მაინც მოუთმენლად მოელოდნენ მერცხლების გამოჩენას.

ის-ის იყო მზე ამოიწვერა გაღმა ქედებზე და მისმა პირველმა სხივებმა აივანზე შეითამაშეს, რომ სანატრელი ქღურტულიც გაისმა. მერცხლები აივანზე შეფრინდნენ და მაშინვე ბუდეს მიაშურეს. მზიამ და ნიკომ სიხარულის ყიჟინა დასცეს.

# ბაღჩის ბურთები

ზაქარია შერაზადიშვილი



## საზამთრო

მატყუარა ფერი აქვს,
თავს გვაჩვენებს
მკვახედ,
ეჭვნეულად გაჭრილი
მოგანათებს მჭახედ.
რა წითელი
გული აქვს,
ახლა
გემოც
ნახეთ!

საწყენად
ნუ მიიღებს,
ვაძლევ ასეთ კითხვას,
არ ვინახავთ
ზამთრისთვის

ვეჭვობთ გაძლებს დიდხანს,
რაღად ჰქვია „საზამთრო"?
აბა,
ერთი, გვითხრას!

## რა უნდა ერქვას

ერთ
ყანეულს
ვახსენებ
და მის სახელს ორგვარს:



ზოგმა
„კვახად" მონათლა,
ზოგი ამბობს
„გოგრას".

იცის
შუა ზამთარში
მან
სიამის მოგვრა,
მე მგონია,
„საზამთრო"
უნდა ერქვას
გოგრას!

## ხრიკა



აყიროსგან
ოსტატი
გააკეთებს ხრიკას...
ქვევრში
ისე ბუყბუყებს,
გგონია —
თავს იკლავს,



ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ
ისე ამოცლის,
თხლესაც
კი არ იკრავს...

## ნესვი

მე მეგონა,
ბაღჩაში
შეპარულა ნეზვი,
ახლოს მიველ,
რას ვხედავ, —
კებერთელა ნესვი!
რა საამო სუნი აქვს,
აი, ეს კი
მესმის!



გაბრიელი და დიდედა კატო აივანზე გამოცვივდნენ და ისინიც გახარებულნი გასცქეროდნენ მერცხლის ბუდეს, რომელსაც ხან ერთი მერცხალი მიაშურებდა და ბარტყებს თავს ევლებოდა, ხან — მეორე.

დრო გადიოდა. ბარტყები იზრდებოდნენ, ბუმბულით იმოსებოდნენ. იზრდებოდა და ახალ-ახალი ჩანაწერებით ივსებოდა მზიას დღიურიც. გალამაზდა და დამშვენდა სახლიც, რომლის შეკეთება უკვე დაემთავრებინათ.

„რომ იცოდეთ, როგორ გალამაზდა ჩვენი სახლი, — წერდა მზია თავის დღიურში. — მიხარია, რომ ახალი სახლი გვაქვს, მიხარია, რომ ბუდეც უვნებლად გადარჩა და მერცხლებიც ბედნიერები არიან. ახლა ისინი ფრენას ასწავლიან ბარტყებს. თუ არ გინახავთ, უნდა უსათუოდ ნახოთ, როგორ ასწავლის მერცხალი თავის ბარტყებს ფრენას. გუშინწინ დედა მერცხალი მოფრინდა ბუდესთან, მაგრამ ჩვეულებრივად ბუდის ნაპირზე კი არ ჩამოჯდა, იგი ბუდის პირდაპირ ფრთების ფარფატით ჰაერში გაჩერდა და ჭიალუით გამოტენილი ნისკარტი ახლოს მიუტანა ყველაზე თამამ ბარტყს. ბარტყი ბუდიდან ამოფორთხდა, ბუდის ნაპირას ჩამოჯდა და ფრთების ქანაობით და მხიარული ჟღურტულით სთხოვა დედას საკვებს. მერცხალი ახლოს, სულ ახლოს მიუტანდა ნისკარტს ბუდიდან გადმოხრილ ბარტყს და სწრაფად აივანზე გაიქროლებდა. უცებ ბარტყმა თავი ვეღარ შეიმაგრა, ბუდეს მოსწყდა, შეიფრთხიალა და... ისიც გაფრინდა, დედას დაედევნა...

ნიკო, მე და დეიდა კატო ხშირად ვსხედვართ აივანზე და სულგანაბულნი შევსცქერით ამ სანახაობას"...

●

აგვისტო მიიწურა. დამწიფდა ატამი და ვაშლი. ქარვისფრად დაიმკრახა, დატკბა ყურძენი. მზია და ნიკო დღეს-დღეზე ითვლიდნენ, თბილისში წასასვლელად ემზადებოდნენ. ენანებოდათ მშობლიური სოფლის დატოვება, მაგრამ, რომ გაიხსენებდნენ პირველი ზარის წკრიალს, საყვარელი მასწავლებლის სახეს და ქალაქის მჩქეფარე, საქმიან ცხოვრებას, გული მოლოდინით ეკუმშებოდათ.

დადგა წასვლის დღეც. ეზოში მანქანა გამოჩნდა.

— მალე თქვენი მერცხლებიც გაფრინდებიან და დავრჩებით მარტონი, — წუწუნებდა დიდედა კატო და ბავშვებს სიყვარულით ეთხოვებოდა.

— აბა, ჩემო მერცხლებო, არ დაგვივიწყოთ, წერილი მოიწერეთ, კარგად ისწავლეთ!

— ჩვენს მერცხლებს გაუფრთხილდით, თბილ ქვეყნებში რომ წავლენ, ბუდე არ დაუნგრიოთ! — ეტიტინებოდა დიდედას მზია.

მანქანა დაიძრა. ხელის ქნევით და ყიჟინით ეთხოვებოდნენ ბავშვები მოხუცებს.

სოფელს რომ გასცდნენ, მზიამ შორიდან ერთხელ კიდევ შემოხედა მთის ფერდობზე მერცხლის ბუდესავით მიკრულ ლამაზ, მშობლიურ სახლს, მერე საყვარელი მერცხლების ბუდე დაუდგა თვალწინ. ერთი წუთით გული დასწყდა. დაენანა და გადაწყვიტა თავისი დღიური ასე დაემთავრებინა:

„30 აგვისტოს ჩვენ თბილისისკენ წამოვედით. დიდედა და პაპა მოიწყენენ უჩვენოდ, მაგრამ გაზაფხული ისევ დადგება. ჩვენ და მერცხლები ერთად დავუბრუნდებით ჩვენს მშობლიურ ბუდეს".

დაიბეჭდა „პიონერში" 1953 წელს.

# ახალი წიგნები

ნინო
ბეჟარაშვილი

## მეზღაპრის საჩუქარი

ნინო ბეჟარაშვილის სახელს თქვენ ალბათ არა ერთხელ წაწყდომიხართ „პიონერის" ფურცლებზე. გამომცემლობა „ნაკადულის" მიერ ახლახან გამოცემულ წიგნში „მეზღაპრის საჩუქარი" შეტანილია რამდენიმე მოთხრობა, რომლებიც ადრე „პიონერში" დაიბეჭდა.

ნ. ბეჟარაშვილის მო-



თხრობების გმირები თქვენი თანატოლნი არიან. თქვენსავით მათაც ჰყავთ მეგობრები, უჭირთ და ულხინთ, ზოგი ზარმაცია, ზოგი — ბეჯითი. ერთი სიტყვით, ბევრი თქვენგანი ამ მოთხრობების გმირებში თავისთავს შეიცნობს. ეს ბავშვები თითქმის ყველანი სოფლელი ბავშვები არიან. ნ. ბეჟარაშვილი ოსტატურად ხატავს სოფლის სურათებს, ბუნება იქნება ეს თუ, საერთოდ, იქაური ყოფა. მის გმირებს ძალიან უყვართ სოფელი, მისი ორღობეები, ჩუქურთმებიანი სახლები, წყარო, მდინარეები...

მწერლის ენა ხატოვნებით გამოირჩევა. თხრობა ისეთი მსუბუქი და ლაღია, გეგონებათ, ქართლის რომელიღაც სოფლის სანახშოზე ზიხარ და გლეხკაცების საუბარს უგდებ ყურს.

„მეზღაპრის საჩუქარი" კარგი შენაძენი იქნება თქვენი ბიბლიოთეკისათვის.

ზურაბ
ჭუმბურიძე

## ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი

პროფ. ზ. ჭუმბურიძის წიგნში „ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი" ლაპარაკია ქართულ ხელნაწერებზე. თქვენ, ალბათ, იცით, რომ ადრე წიგნები ეტრატებზე იწერებოდა, ეს წიგნები ხელიდან ხელში გადადიოდა, იცვლიდა ადგილ-სამყოფელს, ხან ერთ სახელმწიფოში მოხვდებოდა, ხან მეორეში.

აი, სწორედ ამ წიგნების სვე-ბედზეა მოთხრობილი აქ. ყოველ ამ წიგნს თავისი ბედი აქვს, რადგან თითქმის ყველა განუმეორებელია, უნიკალურია, თითოეული ცალი უთუოდ განსხვავდება სხვებისაგან, თუნდაც ერთი დედნიდან იყოს გადაწერილი, ხშირად კი ასეთი წიგნი მხოლოდ ერთ ცალად არსებობს. ბევრი ძველი შესანიშნა-




ვი თხზულება, მრავალი ხელნაწერი წიგნი შინაარსთან ერთად ყურადღებას იქცევს მხატვრული გაფორმებით, ყდის შემკულობით, ანდერძ-მინაწერებით... ზოგი ხელნაწერი წიგნი მტრებს დაულად წაუღიათ და შემდეგ კეთილისმყოფელებს გამოუხსნიათ ტყვეობიდან.

ჭეშმარიტად ბევრი ხელნაწერის ბედი ადამიანის თავგადასავალზე არანაკლებ საინტერესოა.

სწორედ ასეთ საინტერესო ხელნაწერებზე მოგვითხრობს ეს წიგნი, რომელსაც ავტორმა „ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი" უწოდა.

ნოდარ
ადეიშვილი

## თოვლის სინათლე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" ახლახან გამოსცა პოეტ ნოდარ ადეიშვილის ახალი ლექსების კრებული — „თოვლის სინათლე". წიგნში ავტორი ნათელი ფერებით [illegible] ნი ქვეყნის [illegible] მომავალს. კრებულში წარმოდგენილი ლექსები გამსჭვალულია მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით, შრომისა და სამშობლოს სიყვარულის, თავდადებისა და მამაცობის გრძნობით.

სწორედ შრომის ფონზე საინტერესო შტრიხებით აქვს დახატული პოეტს მამისა და შვილის ურთიერთდამოკიდებულება და მათი, როგორც სხვადასხვა თაობის მიმართება გარესამყაროსადმი.

„მოჰყვება შარას მამა და
შვილი.
და ეზო-ეზო ნუშობს
წვავენ...
შვილისთვის უკვე
მწიფდება ხილი,
მამისთვის უკვე ილევა
მწვანე..."

სხვა ლექსში პოეტი ლამაზად გვიხატავს მწყემსი ბიჭუნას სახეს: „მიდენის ხბოებს პატარა



ბიჭი, მიდის, ხმაურით მიაქვს ტყე-ველი"...

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კრებულში შემავალი ლექსები მაღალმხატვრულად, შთამბეჭდავად, საინტერესოდ გადმოგვცემენ ჩვენი მშრომელი ხალხის ფიქრებსა და მისწრაფებებს, რომელსაც მძიმე და გრძელი გზა გამოუვლია და დღევანდელი მზიანი დღე უკეთესი მომავლის რწმენით გაუნათებია.

*ჩვენი*
# შემოქმედება

## გ ა დ ა რ ჩ ე ნ ა

ენგურმა კალაპოტი შეიცვალა, ხე-
ბა დარჩა ქვებისა და ქვიშის ამარა
კალაპოტარზე ღელეებიდან ჩამოსუ-
ი წყალი მიღოღავს მეთევზეთა ვარა-
დი, ენგური გადაგდების დღეს თევ-
ი რიყეზე ბლომად დარჩებაო, არ გა-
რთლდა.

გულთმისანი ყოფილან თევზები —
ოგორც კი ... ნარემ კლება იწყო,
აბლა და დაბლა ჩაჰყვნენ წყალს,
ღვას მიაშურეს.

მხოლოდ არველოდიმ — ბიძაჩვენის
ეზობელმა — დაიჭირა ორიოდე წვე-
ა, ეს იყო და ეს.

ხელმოცარული გაბრუნდა ზღვა ხალხი
ინისკენ. მეორე დღეს ალმა აჰყევით
ობას, ხაენგურალის დალოვალიერება
ვსურდა.

დიდრონი ქვები, რომლებიც დახოცი-
ლი კამეჩებივით ეყარნენ ნაკალაპო-
არზე, მზეს ერთობ გაეხურებინა.

ვმღეროდით, ვხუმრობდით, ლექსებს
ამბობდით და ასე მივდიოდით.

ჩვენი ბიძაშვილების — ანზორის,
ტუტიას, დარიკოს მოლოდინიც არ მარ-
თლდებოდა. თურმე, მათი აზრით, თბი-
ლისელი ბავშვები რიყეზე ვერ შევძლებ-
დით ფეხშიშველა სიარულს, ანდა
ადრე დავიღლებოდით.

ძივდიოდით თანაბარი ხალისით.

— მოდით, მოდით! — დაიძახა წინ
მიმავალმა ტუტიამ.

ვხედავთ, მაგრამ რას ვხედავთ!

პატარა გუბურაში ჩარჩენილი წყრთი-
სოდენა თევზი აქეთ-იქით აწყდება.

დარიკომ ქვას დაავლო ხელი, ან-
ზორმა ჯოხი მოძებნა.

— ხელი არ ახლოთ! — დავიძახეთ.

— რატომ?

— ცოცხალი უნდა დავიჭიროთ.

— ჰო, მართლა, ცოცხალი დავიჭი-
როთ.

ავიკეცეთ შარვლის ტოტები და გუბუ-
რაში შევედით.

კარგა ხანს ვეწვალეთ. ის-ის იყო,
უნდა ხელში მოგვეგდო, რომ სწორედ
იმ დროს დაგვისხლტებოდა.

ოფლად ვიქეცით, დავიღალეთ, მაგ-
რამ მაინც არ მოვეშვით.

— ჰოპ, ჰოპ! — დაიძახა ანზორმა
და თევზი წყლიდან ამოიყვანა.

წითლად დაწინწკლული კალმახი
ძალზე ლამაზი იყო, ფართხალებდა, ხე-
ლიდან დასხლტომას ცდილობდა.

— დღეს კარგი ვახშამი გავაკეთე-
ბინოთ დედას, ახალი ტყემალიცა აქვს,
— თქვა დარიკომ.

— მამამ — უგემრიელესი ხორცი
აქვსო კალმახს, — დასძინა ტუტიამ.

ჩვენ თვალი ჩავუკარით ერთმანეთს
და პატარა მდინარისკენ გავიხედეთ.

— გვაჩვენე, ერთი! — ვუთხარით
ანზორს და კალმახი გამოვართვით.

— ჰოპ, ჰოპ! — ახლა ჩვენ დავი-
ძახეთ და მდინარისკენ გავექანეთ.

კალმახი გაუჩინარდა... ტუტია გაე-
კიდა, მაგრამ წყალი მკერდამდე მისწვ-
და და უკან გამობრუნდა.

— ეს რა ქენით, რა?! — იწყინა
დარიკომ.

ანზორს ხმა არ ამოუღია.

— ჩვენ, პიონერები, — ვუთხარით
ბიძაშვილებს, — მოვალენი ვართ დ-
ვიცვათ სამშობლოს ტყე, მდინარე, ტბე-
ბი და ზღვები, ხელი შევუწყოთ მათ ბი-
ნადართა გამრავლებას და არა — მოს-
პობა. იმ ერთ კალმახს, იცით, რამ-
დენი ქვირითის დაყრა შეუძლია? ბევ-
რის, ძალიან ბევრისა.

მალე შევრიგდით და შინისკენ გავე-
შურეთ.

ზვიად და მამუკა გამსახურდიები.
გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატის
VIII კლასის მოსწავლეები.



## ბ ე ბ ო ს

ბებო, ჩემო ბებიკო,
იცი რა მომაგონდა?
პატარა რომ ვიყავი,
როცა ჰკუა არ მქონდა,
გაგიტეხე სათვალე,
გაგაბრაზე ძალიან.
ახლა ცელქობისათვის
უკვე აღარ მცალია,
ახლა უკვე დიდი ვარ,
ხვალ სკოლაში მივდივარ.

ლალი მანგოშვილი.
თბილისის მე-14 საშუალო სკოლის
IV კლასი.




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №8

# ნაწვიმარზე

მიყვარს ახალ ნაწვიმარზე
სუნი ლორთქო მიწის,
მიყვარს შტოზე ასაფეთქად
განაბული კვირტი;

ნაწვიმარზე ფეხით გავლა,
როცა ზეცა იწვის;
სადღაც ხეზე დაჭყივჭყივებს
ბარტყებს დედაჩიტი.

ცისარტყელა ფერებს აფრქვევს,
ტყის სურნელს კი — ფიჭვი.
ფიჭვის ტოტზე დათამაშობს
სხივი — ჭინკა ბიჭი.

მზე ფოთლებში იჭყიტება,
მესმის სუნთქვა მიწის;
მიყვარს, როცა სივრცე ბრწყინავს,
როცა ზეცა იწვის.

მაია გელუტაშვილი,
თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, X კლასი.

# რთველი კახეთში

შემოდგომამ აგვავსო
ხვავითა და ბარაქით,
ტკბილი წვენით ივსება
ქვევრები და მარანი.

ჭრიალებენ ურმები,
დატვირთულნი გოდრებით;
საწნახელთან დამდგარა
ყურძნის დიდი გორები.

ზვრებში ლაღად გაისმის
სიმღერები ქართული.
შემოდგომის კახეთი
რთველით არის გართული.

ნოდარ ჯაფარაშვილი,
თბილისის მე-14 საშუალო სკოლა.



ველო-რბოლა. გოჩა ფიჩხაია, 11 წ.

# სიცოცხლეს ვუმღერით

სინათლე გვიყვარს ჩვენ,
სიბნელე გვძულს,
გვსურს ცაზე მნათობმა
იბრწყინოს სულ.

პატარებს მშვიდობა
გვიხარებს გულს.
სიცოცხლეს ვუმღერით,
სიკვდილი გვძულს.

ნუნუ დოლიძე[?]

# დილის სურათი

დილის ნამი მზის სხივებზე იწყებს
კრთომას,
და ტოროლა ლაჟვარდ ცისკენ
იწყებს ლტოლვას,
მდინარის პირს წყალწანწალა ასდევს,
სრბოლავს
და კურდღელი, ბუჩქებიდან
გამომხტარი,
მწვანე კორდზე სასაცილოდ ხტის
და გორავს.

# გაზაფხული

როს ყვავილობენ ხენი
და წყალი მიჩქუხს ხევში,
როცა აღარ სჩანს თოვლი
მინდორში, გზებზე, მთებში,
როცა ამოდის მინდვრად
ყოჩივარდა და ია,
როცა ილვიძებს არე —
მას გაზაფხული ჰქვია.

მზია მაღრაძე,
ასპინძის რაიონის ოშორის საშუალო სკოლა, VIII კლასი.

## პასუხი 1976 წ. № 3-ში დასმულ კითხვაზე



# ბოჭორმა

### ციხე და წმ. გიორგის ეკლესია

ბოჭორმის ციხე, რომლის ტერიტორიაზეც, სხვა ნაგებობებთან ერთად, მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესია, ივრის ხეობიდან ერწო-გომბორისაკენ მიმავალი გზების ჩამკეტი უძლიერესი საფორტიფიკაციო ნაგებობაა.

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში არაერთი ცნობა მოიპოვება, რომელთა გათვალისწინება ნათელს ხდის ბოჭორმის ციხის სტრატეგიულ მნიშვნელობას. ერთი ასეთი ცნობა გვაუწყებს, რომ „ამირ არაბი კასიმის ძე აგარიანი... სამხრეთის მოოხრების შემდეგ მოადგა ტფილისს და მუნ იყო ამირ ჯაფარ ალის ძე; ტფილისიდამ მოადგა უჯარმას, რამეთუ იყვნენ ხამასოდენ კაცნი ციხესა შინა და ებრძოლნეს მრავალდღე. შემდგომად დაუტევეს მეციხოვნეთა ციხე და წარვიდნენ. იხილეს რა ესე ბოჭორმელთა, დაუტევეს მათაცა ციხე და წარვიდნენ; არამედ სარკინოზნი, მხილველნი ბოჭორმისანი, იტყოდნენ „რომელი იყო ბაკი (ეზო, საჩეხი), ფიცხელად შებმა გვიყვეს, ხოლო ციხე უკაცურ არს"-ო. მაშინ მოვიდა კვირიკე ქორაკოზი ფიცითა ამირისითა. წინაშე ამირის; ხოლო ამირ ეტყოდა: „ვინ გაწვია მოსვლად ჩემთანა?" მიუგო კვირიკემ: „დედამან ჩემმან": რქუა ამირმა: „უკეთუ გაწვია დედამან, არა ვატკინო გული" და განუტევა. არამედ ბოჭორმა თვით დაიპყრა" და სხვაო. ეს ამბავი „მატიანე ქართლისაის" ჩვენებით — 1010 წლის ახლო ხანებში მომხდარა. საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის დროს მეფე ბაგრატ III-მ სწორედ ბოჭორმის ციხეში მიიმწყვდია კვირიკე კახთა მეფე, „დაუყენნა ციხესა გარეშე მცველნი წელიწადამდი, წარიღო ბოჭორმაცა და დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი. წამოიყვანა კვირიკე და დაიჭირა თვისსა კარსა ზედა".

ბოჭორმის ციხის აგების თარიღის შესახებ წერილობითი წყაროები დუმან, ხოლო ვახუშტი ბატონიშვილის ზემოდასახელებულ ნაშრომში ვკითხულობთ, რომ „უჯარმის ზეით, ჩრდილოეთით, და ივრის აღმოსავლეთით არს ბოჭორმა ციხე... ხოლო ბოჭორმა აღაშენა ცოლმა ქართლოსისამან და უწოდა დედა ციხე. ესე არს მაღალს კლდესა ზედა. გამოდის ციხესა შინა წყარო. არს შენობა დიდი და მაგარი... შემდგომად უწოდეს ვეჭორმა, ესე იგი არს: „ვეძა, ორმა ძმამ ცილობა ყვეს ამ ციხესა ზედა". მერმე უწოდეს ბოჭორმა".

როგორც დავინახეთ, წყარო მას უძველეს დროში აგებულად მიიჩნევს. მიუხედავად ამისა, თარიღის შესახებ გადაწყვეტით რამის თქმა სადღეისოდ ძნელია, მით უმეტეს, რომ ძეგლი არქეოლოგიურადაც შეუსწავლელია. შთაბეჭდილება ისეთია, რომ იგი შესაძლოა მართლაც წინაფეოდალურ ხანაში იყოს აგებული, რაზეც შემთხვევითი ანაკრეფი მასალა (კერამიკის ნამტვრევები) უნდა მიუთითებდეს, რომელიც ძეგლის ტერიტორიაზე შევაგროვეთ. ასეა თუ ისე, ერთი რამ მაინც ცხადია: ბოჭორმის ციხე, როგორც ჩანს, ადრე ფეოდალური ხანიდან დაწყებული მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ბოჭორმის ციხე აგებულია ივრის ხეობის პირას, მაღალი მთის წვერზე და მთელ ამ არემარეს დაჰყურებს. აქედან იშლება თვალწარმტაცი, მრავალპლანიანი ხედები, როგორც გომბორის, ისე ერწოსაკენ მიმავალი ხეობებისა. თუმცა ციხის კედლები ჩამონგრეულია, მაინც ცხადად ისახება ამ ციხის მიუდგომლობა და სიმყარე. ყურადღებას იპყრობს ციხის კედლებში დატანებული ძველი ოთხკუთხა და მრგვალ კონტრფორსიანი ქონგურები, რომელნიც შემდგომ ხანებში არაერთ ადგილას გადაუკეთებიათ და აღუდგენიათ. ციხის შუაგულში საგანგებოდ გამოყოფილ ზედა ბაქანზე აგებულია დედაციხე, ისე რომ, იგი ძირითადი აქცენტია ამ საფორტიფიკაციო ნაგებობისა: დედაციხესაც საკუთარი ზღუდე შემოსდევს. მისი კედლებიც დღეს აქა-იქ ჩამონგრეულა. როგორც ჩანს, დედაციხის ზღუდის კედლები დაკავშირებული ყოფილა ციხის გარე კედლებთან, ამის კვალიც კარგად ჩანს მთის სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფერდობზე შერჩენილი კედლების ნაშთით. დედაციხის ტერიტორიაზე, სხვა ნაგებობის გარდა, დღემდე მოღწეულია რიყის ქვით ნაგები სასახლის ნანგრევიც, რომელიც მხოლოდ პირველი სართულის დონეზეა. აქ ფაქტიურად ორი ოთახია, რო-




ბავშვებო, ამ სურათზე გამოსახულია ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მაღალმთიანი კურორტი — ბახმარო. მოგვწერეთ, რა იცით მის შესახებ, რით გაითქვა ამ კურორტმა სახელი?



მელთაგან დიდს თაღოვანი შესასვლელი აქვს. ორივე ოთახი დაკავშირებულია ერთმანეთთან კარის საშუალებით. როგორც ჩანს, ხუროთმოძღვარს გაუთვალისწინებია ივრის ხეობის სიმშვენიერე და ისე აუგია სასახლე, რომ იგი სწორედ ამ ხეობას გადაჰყურებს. აქვე, ერთი ძლიერ თავისებური, მრგვალი სამსართულიანი კოშკი დგას, რომელსაც არა აქვს სათოფურები, სარკმლები და ღია ბაქნით მთავრდება. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ეს ნაგებობა ციხის დაარსებისთანავეა აგებული, რაზეც მისი მდებარეობა და ციხის ანსამბლთან ორგანული კავშირი მიგვითითებს. ამ ნაგებობის ოდნავ მოშორებით, ჩრდილოეთით XVIII საუკუნეში აღდგენილ კედელთან მიდგმულია მეორე დარბაზული ეკლესია, რომელიც არაფრით იქცევს ყურადღებას. სამაგიეროდ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წმ. გიორგის სახელობის გუმბათიანი ეკლესია. იგი გეგმაში თოთხმეტ წახნაგში მოქცეული ექვსაფსიდიანი ნაგებობაა, რომელთაგან აღმოსავლეთით მდებარე საკურთხევლის აფსიდი სამწახნაგოვანი შვერილის სახით ნაგებობის საერთო აბრისიდან წინ არის გამოწეული. ინტერიერში შექმნილია გუმბათით დაგვირგვინებული ცენტრალური სივრცე, მის მრგვალ ყელში გარედან გაჭრილია შეწყვილებულ ნახევარსფეროებზე გადაყვანილი, კამარებით გაწყობილი ექვსი სარკმელი. შიგა სივრცე გარედან სათანადოდ არის ასახული აფსიდების გამომყოფი ღრმა, სამკუთხა ნიშნებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყოველ აფსიდს აქვს ბემა, ეს ბემები აფსიდებზე უფრო განიერია, რის გამოც, გუმბათქვეშა ცენტრალური სივრცისაგან ეკლესიის მკლავები უფრო ცხადად არის გამოყოფილი, მკლავების შესაყარი ვასები ნახევარსვეტებით არის გაფორმებული, ისე რომ, ინტერიერში, ამ ექვსნახევარ სვეტზე გადაყვანილ თაღებს შორის მოქცეულ სამკუთხა მონაკვეთების ზემოთ დამატებითი მცირე თაღებია. ამგვარად, ექვსი მკლავის თაღი და ექვსი დამატებითი აფრიანი მცირე თაღი ქმნის წრის საფუძველს გუმბათის ყელის ამოსაყვანად. საკურთხეველსა და ასევე ყველა დანარჩენ აფსიდში, გაჭრილია თითო სარკმელი.

ეკლესიის ინტერიერი შემდგომ ხანებში (XII ს.) შეულესავთ და მოუხატავთ. მხატვრობის ფრაგმენტები დღემდეა შემორჩენილი სადღესასწაულო სცენებისა და წმ. გიორგის ცხოვრების ამსახველი სიუჟეტებით.

ეკლესია აგებულია ორგვარი ჯიშის სუფთად გათლილი (შირიმი და მომწვანო ფერის ქვაქვიშა) ქვის წყობით. მოსაპირკეთებელი მასალა, რომელიც ძლიერ დაზიანებულია და არაერთგზის შეუკეთებიათ კიდეც, ძირითადად მომწვანო ფერის ქვაქვიშაა. ხოლო რაც შეეხება აგურსა და შირიმს, იგი ერეკლე II-ს დროს განხორციელებული რესტავრაციის შედეგად უნდა გაჩენილიყო. ეკლესიას ადრე ორი შესასვლელი ჰქონდა, ერთი, ჩრდილო-დასავლეთისა, ამჟამად ამოქოლილია. მას, როგორც ეტყობა, კარიბჭე ჰქონდა მიდგმული. ძეგლის დაზიანებისა და მერმინდელ შეკეთებათა მიუხედავად, მაინც თვალშისაცემია მისი უაღრესად დახვეწილი ხუროთმოძღვრების მთლიანობა, პოპულარული მხატვრული გააზრების ერთიანობა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ იგი ამ ტიპის ნაგებობათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ საქართველოში და სომხეთში ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიას ახლო პარალელები ეძებნება, რაც უმთავრესად ხუროთმოძღვრული ტიპის მიხედვით ხერხდება. ასეთია, მაგალითად, კიაღმის-ალთის, ოლთისის, გოგჩუბასა და კაცხის ტაძრები — საქართველოში, ანისის აბუგამრეცის ეკლესია — სომხეთში. მაგრამ მათგან განსხვავებით ბოჭორმის ტაძარში უფრო მეტად შეიმჩნევა მხატვრული მთლიანობა და ხუროთმოძღვრული თემის პროგრესული ხასიათი. კაცხი და ბოჭორმა წერილობითი წყაროებით და ხუროთმოძღვრული ფორმების თავისებურებათა გათვალისწინებით X-XI საუკუნეთა მიჯნაზე აუგიათ, უფრო ზუსტად, ბოჭორმა — X საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო კაცხის ტაძარი — XI საუკუნის შუაწელში.

ირაკლი ჯანდიერი.

რედაქციისაგან:

ჩვენი ჟურნალის № 8-ში დასმულ კითხვებზე ამომწურავი პასუხი გამოგზავნა თიანეთის საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა იზა ჯიმშიტაშვილმა.





ნორჩ მათემატიკოსთა კლუბი

# პითაგორა

# სამკუთხა რიცხვები

ორიოდე კვირის წინათ რედაქციიდან დამირეკეს და მთხოვეს მივსულიყავი. გადმომცეს ჟურნალის ერთ-ერთი მკითხველის წერილი. აი, რა ეწერა ამ წერილში.

„პატივცემულო რედაქციავ!

მათემატიკა ჩემი საყვარელი საგანია. ამიტომ ძალზე გამეხარდა „პიონერში“ ნორჩ მათემატიკოსთა კლუბის — „პითაგორას“ დაარსება. წავიკითხე წერილები მარტივი რიცხვების შესახებ. ძალიან მომეწონა, საინტერესო საკითხებზეა საუბარი. უფრო ადრე წავიკითხე „მეჯლისი პრინცესასთან“. ამხანაგებსაც გავაცანი, ყველას მოეწონა. მაგრამ ერთი რამ ვერ გავიგეთ: პითაგორა რომ ამბობს — სამი სამკუთხა რიცხვიაო, რატომ ამბობს? ნუთუ მარტო იმიტომ, რომ სამკუთხედში სამი კუთხეა? ეს ხომ ძალიან მარტივია! ეტყობა, აქ რაღაც სხვა მიზეზი არის, მაგრამ არ ვიცი, რა. ძალიან გთხოვთ, ამიხსნათ“.

თამუნია ლექსაძე.

მეორე დღესვე დავწერე პასუხი და რედაქციაში მივიტანე. „საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ, ეს წერილი ჟურნალში რომ გამოვაქვეყნოთო?“ — მითხრეს. საწინააღმდეგო აბა რა მექნებოდა? სიამოვნებით დავეთანხმე. ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი — მკითხველებისათვის უინტერესო არ უნდა იყოს სამკუთხა რიცხვებთან შეხვედრა.

ჩემო თამუნია!

„მათემატიკა ჩემი საყვარელი საგანიაო“ — იწერები. შენმა ამ სიტყვებმა ფრიად გამახარა, მაგრამ კიდევ უფრო გამახარა იმან, რომ შენ დაკვირვებული და ცოდნისმოყვარე გოგონა ყოფილხარ. სიამოვნებით მოგიყვები სამკუთხა რიცხვების ამბავს.

მაშ ასე, დავიწყოთ!

აი მე დავხატე სამი წერტილი:



დავხატე ისე, რომ თუ მათ წყვილ-წყვილად შევაერთებთ, წესიერ ანუ ტოლგვერდა სამკუთხედს მივიღებთ:



თუმცა ალბათ დაგვეთანხმები, რომ წერტილები შეუერთებლადაც ქმნიდნენ სამკუთხედის შთაბეჭდილებას.

ახლა ვიკითხოთ: შეიძლება თუ არა ოთხი წერტილის ანალოგიური განლაგება? ადვილად დავრწმუნდებით, რომ პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითია — რამდენიც უნდა ვეცადოთ, ოთხ წერტილს ისე ვერ განვალაგებთ, რომ მათ სამკუთხედის შთაბეჭდილება შეგვიქმნან. ამ მიზნისათვის არც ხუთი წერტილი გამოდგება, მაგრამ ექვსი წერტილი უკვე სასურველ შედეგს იძლევა:



ეს „ექვსწერტილოვანი სამკუთხედი“ თავიდან აღებული „სამწერტილოვანის“ ორჯერ გადიდებით მიიღება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამ გადიდებაში გამოიწვია სამი ახალი წერტილის დამატება (ნუ დაგავიწყდება, რომ სიტყვა „გადიდებით“ ვგულისხმობთ გვერდის სიგრძის გადიდებას და არა ფართობის გადიდებას, — ახალი სამკუთხედის ფართობი ორჯერ კი არა, ოთხჯერ მეტია თავდაპირველი სამკუთხედის ფართობზე).

კიდევ რამდენი წერტილის დამატებაა საჭირო, რომ სამკუთხედის შთაბეჭდილება შევინარჩუნოთ? ალბათ მიხვდი, რომ ამ მიზნისთვის 4 წერტილი უნდა ავიღოთ. მაშინ ასეთ სამკუთხედს მივიღებთ:



ეს სამკუთხედი „ათწერტილოვანია“. წერტილების სათანადო რიცხვის დამატებით სულ ახალ-ახალ სამკუთხედებს მივიღებთ, ამისთვის აღებულ 10 წერტილს 5 წერტილი უნდა დავუმატოთ, მიღებულ 15-ს კიდევ — 6, 21-ს — 7 და ა. შ.

ბუნებრივად ისმება კითხვა: რამდენი წერტილი უნდა გვქონდეს, რომ მათგან „სამკუთხა კონფიგურაციის“ შედგენა შეიძლებოდეს? შევეცადოთ პასუხი გავცეთ ამ კითხვას.

ზემოგანხილულ მაგალითებში წერტილთა რაოდენობა შესაბამისად 3, 6 და 10 იყო, შემდეგ, როგორც გითხარი, 15, 21 და 28 იქნება საჭირო (იმედი მაქვს, სათანადო სამკუთხედები შენ უკვე დახატე). რიცხვთა ამ მიმდევრობის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. თითოეულ ამ რიცხვს, სრულიად გასაგები მიზეზის გამო, სამკუთხა რიცხვი ეწოდება. როგორც ხედავ, მხოლოდ ერთი სამკუთხა რიცხვი კი არ არის, ასეთ რიცხვთა სიმრავლე უსასრულოა. სხვათა შორის, გამართლებული იქნება, თუ ამ სიმრავლეს 1-საც მივაკუთვნებთ, შენ წარმოიდგინე, ეს ბუნებრივიც არის — ხომ შეიძლება ერთი წერტილი განვიხილოთ, როგორც სამკუთხედი, რომლის გვერდის სიგრძე ნულის

ბ. ო.

ტოლია. ამ შეთანხმების შემდეგ სამკუთხა რიცხვების მიმდევრობა ასე წარმოგვიდგება:

1, 3, 6, 10, 15, 21, 28...

ჩვენ გვაინტერესებს, რა სახე აქვთ ამ რიცხვებს. ერთი შეხედვით ეს ძნელი დასადგენია, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით ამოწერილ რიცხვებს, შევნიშნავთ შემდეგ ძალიან მარტივ კანონზომიერებას:

$$1=1,$$
$$3=1+2,$$
$$6=1+2+3,$$
$$10=1+2+3+4,$$
$$15=1+2+3+4+5,$$
$$21=1+2+3+4+5+6,$$
$$28=1+2+3+4+5+6+7.$$

შეიძლება დამტკიცდეს, რომ ეს კანონზომიერება შემდეგშიც ძალაში რჩება. ამრიგად, თუ n-ურ სამკუთხა რიცხვს $T_n$-ით აღვნიშნავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ $T_n$ პირველი n ნატურალური რიცხვის ჯამის ტოლია, ე. ი.

$$T_n=1+2+3+...+(n-2)+(n-1)+n,$$

მივიღეთ სამკუთხა რიცხვების ფორმულა. ეს ფორმულა თავისი აგებულებით ძალზე მარტივია, მაგრამ გამოთვლისათვის ნამდვილად მოუხერხებელი აბა, წარმოიდგინე, რა ძნელი იქნება ამ ფორმულით მე-100 სამკუთხა რიცხვის მოძებნა! ამიტომ გავამარტივოთ იგი, ამ მიზნით შევნიშნოთ, რომ

$$1+2+3+...+(n-2)+(n-1)+n$$

ჯამში თავიდან და ბოლოდან ტოლად დაშორებულ შესაკრებთა ჯამი ერთი და იგივე რიცხვის, სახელდობრ $(n+1)$ T-ის ტოლია. ახლა გასაგებია, როგორ უნდა მოვიქცეთ... დაწვეროთ ჩვენი ფორმულა ორჯერ, ამასთან, მეორედ შესაკრებთა მიმდევრობა შევცვალოთ:

$$T_n=1+2+3+...+(n-2)+(n-1)+n,$$
$$T_n=n+(n-1)+(n-2)+...+3+2+1.$$

თუ ამ ტოლობებს „სვეტ-სვეტად“ შევკრებთ, მაშინ მარჯვენა ნაწილში ყოველ „სვეტში“, როგორც აღვნიშნეთ, $(n+1)$-ს მივიღებთ და რადგან სულ n „სვეტი“ გვაქვს, ამიტომ ეს რიცხვი n-ჯერ გამეორდება. ამრიგად, შეკრება გვაძლევს:

$$2T_n=n(n+1).$$

აქედან საბოლოოდ:

$$T_n=\frac{n(n+1)}{2}$$

ამ ფორმულით $T_n$-ის მოძებნა უკვე არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენს.

მაგალითად, $T_{1000}=\frac{1000(1000+1)}{2}=500500.$

ე. ი. მე-1000 სამკუთხა რიცხვი 500500-ის ტოლი ყოფილა.

აი, ასეთია, ჩემო თამუნია, სამკუთხა რიცხვები, სხვათა შორის, მათ მსგავსად შეიძლება შემოვიღოთ კვადრატული რიცხვები, ხუთკუთხა რიცხვები, ექვსკუთხა რიცხვები და ა. შ. შენ ალბათ მიხვდი, რომ ეს რიცხვები დაკავშირებული არიან შესაბამის კვადრატთან, წესიერ ხუთკუთხედთან, წესიერ ექვსკუთხედთან და ა. შ. შეეცადე, წარმოიდგინო ნახაზზე რამდენიმე კვადრატული და ხუთკუთხა რიცხვი. ხომ ვერ შეძლებ კვადრატული რიცხვისთვის ზოგადი ფორმულის მიღებას? აბა, სცადე, ვფიქრობ, მოახერხებ. გისურვებ წარმატებას.

**გიორგი თოფაძე.**

# ძაფი უჩინმჩინი



**თამარ ნულუკიძე**

აბა, სცადე, ადამიანის თმა სიგრძივ გახლიჩო ოცდაათ ნაწილად და რას მიიღებ? მისი ერთი განახლეჩი ბეწვი ხუთჯერ წვრილი იქნება აბლაბუდას ძაფზე, მისი დანახვა უბრალო თვალით გაჭირდება. არსებობს კი ასეთი წვრილი ძაფი? რა თქმა უნდა, არსებობს, მას მინისაგან ამზადებენ. ის აბრეშუმივით რბილია და ფოლადივით მაგარი, ცეცხლში არ იწვის, წყალში არ სველდება.

ეს ძაფი კეთდება მინის ბოჭკოს დამამზადებელ ქარხანაში. ერთი ასეთი ქარხანა არსებობს ბელორუსიის ქალაქ პოლოცკში.

მინიდან ამგვარი ძაფის წარმოქმნა თითქოს დაუჯერებელია, რადგან შეჩვეული ვართ, რომ მინა მყიფე, მსხვრევადი მასალაა, ამის გამო მუდამ ვფრთხილობთ — ჭიქა არ გაგვივარდეს ხელიდან, ბურთი არ მოგვიხვდეს ფანჯარაში და მინა არ ჩაიმსხვრეს. მინა მყიფეა, სანამ მისი სისქე მილიმეტრობითა და სანტიმეტრობით იზომება, მაგრამ საკმარისია უწვრილეს ძაფებად გაიწელოს, რომ აბრეშუმივით დარბილდეს.

დახედეთ ამ თხილისოდენა, გამჭვირვალე ბურთულებს. ესენი მინისაგან არის დამზადებული, ოღონდ რამდენადმე სხვა შედგენილობისაა, ვიდრე, ვთქვათ, ფანჯრის მინა, მაგრამ მაინც უბრალო მინისაგან არის წარმოქმნილი. ამგვარი ბურთულისაგან შეიძლება გაიჭიმოს ას სამოცი კილომეტრი სიგრძის ძაფი!

მინის ბურთულებს ყრიან ქარხნის ელექტროღუმელებში, რომლებიც გახურებულია ათას სამას გრადუსამდე; კვადრატულ ძაბრებში ერთიმეორეზე ვარდებიან ბურთულები, სადაც დნებიან და სითხედ გარდაიქმნებიან. ღუმელის ფსკერზე არის ეგრეთწოდებული „ნავი“, მას აქვს





უამრავი პაწაწკინტელა ხვრელი. საიდანაც გამოდის თხევადი მინის ვერცხლისფერი წვეთები. ამგვარი წვეთი თუ გავწელეთ, იგი უწვრილეს ძაფად გადაიქცევა. ასობით ძაფი ერთდება ერთ კონად, იძაბება, იპოხება



მწებავი სითხით და ეხვევა კოჭებზე. კოჭები იგზავნება საჰაერო გადამზიდით სართავ საამქროში, სადაც ძაფის გადახვევა ხდება მუყაოს შულოებზე, რომლებიც ერთი შეხედვით სიმინდის ტაროებს ჰგვანან.

ნელა მიცურავენ კოჭები: ყვითელი, მტრედისფერი, იასამნისფერი. იბადება კითხვა — რატომ ღებავენ კოჭებს სხვადასხვა ფერად? იმისათვის, რომ ფეიქრებმა ადვილად გაარჩიონ ნართი ქსოვის დროს. ყველა ძაფი ხომ ერთგვარი არ არის: ზოგი მსხვილია, ზოგი წვრილი, იმის მიხედვით, თუ რომელი როგორი ქსოვილისთვის არის გათვალისწინებული. თანაც ფეიქრებმა იციან, რა ფერის კოჭი რამდენი ხვეულისაგან შედგება — ვთქვათ, ცისფერი კოჭი ასხვეულიანია, ყვითელი — ორასიანი, იასამნისფერი — სამასიანი.

როგორც ხედავთ, ნართის ნომრის დახსომება გაადვილებულია მისი ფერის მიხედვით.

ამგვარად დამზადებული მინის ძაფისაგან რას არ ამზადებენ! არც ერთი მასალა არ შეედრება მას თავისი ხარისხით. დაგრეხილი, ასანთის ღეროზე წვრილი, გამჭვირვალე ძაფით შეიძლება ავწიოთ სამასი კილოგრამი ტვირთი. აბა სცადეთ და ცეცხლი წაუკიდეთ მინის ქსოვილს! ის არ დაიწვება. დაასხით წყალი, რამდენიც გნებავთ, და მაინც მშრალი დარჩება.

მინის სახიანი ქსოვილისაგან ამზადებენ თეატრის ფარდებს, დეკორაციებს, ავეჯის გადასაკრავებს.

თუ მინის ქსოვილს გავფისავთ და დიდი წნევის ქვეშ დავწნეხავთ, მივიღებთ მინის ფანერის მსგავს წარმონაქმნს, რომელსაც მინაპლასტიკა ეწოდება: ის ფოლადზე უფრო გამძლე და ბევრად მსუბუქია: ამგვარი მასალა მეტად საჭიროა თანამედროვე მრეწველობაში.

მინაპლასტიკა შეიძლება დამზადდეს ნებისმიერი სისქისა — სქელი ან თხელი, ჩაწნეხილი ფენების რაოდენობის მიხედვით. თუ ფისში სალებავს შევურევთ, მიიღება სახიანი მინაპლასტიკა, მარმარილოსი და გრანიტის მსგავსი. ამგვარი ხელოვნური მარმარილოთი არის მოპირკეთებული კიევის მეტრო. გაივლის კიდევ მცირე დრო და ნახავთ ამ საოცრებრივი მასალისაგან შექმნილ საკვირველ საგნებს. იგი შეცვლის მძიმე წონის ლითონებს: რკინას, ფოლადს, თუჯს...

მინაპლასტიკისაგან უკვე ამზადებენ ავტომანქანის ძარას, თვითმფრინავისა და კატარღის ნაწილებს. დადგება დრო, როცა მისგან დაამზადებენ რკინიგზის მთელ შემადგენლობას — მინის რელსებზე იქროლებენ მძლავრი ელმავლები, ნახევრად გამჭვირვალე ვაგონების მწკრივებით, მდინარეებზე ისრიალებენ მსუბუქი, სხვადასხვა ფერის კატარღები, თბომავლები, ორჩხომელები...

ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში მინაპლასტიკას იყენებენ სახლების შიგამოწყობილობისათვის. განსაკუთრებით მიმზიდველად გამოიყურებიან ამგვარი მასალით მოპირკეთებული საბაზანო ოთახები. ფერადი მინაპლასტიკისაგან დამზადებული პირსაბანის ნიჟარები თითქოს შუქს აფრქვევენ შიგნიდან.

ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ ექსპერიმენტების სახით არის, მომავალში მთელი საცხოვრებელი უბნები აღიმართება მინაპლასტიკის მასალით აშენებული.

წარმოიდგინეთ ლამაზი მინის სახლები, რომლებშიც ცხოვრობენ ადამიანები. ოთახებში ბევრი შუქია, მაგრამ გარედან არა ჩანს, რა ხდება იქ, რადგან კედლებზე არეკლილი სხივები მათ გაუმჭვირვალს ხდიან.

კედლებში გაწყობილია თახჩები, თაროები სხვადასხვა ნივთებისა და წიგნებისათვის. ფანჯრებში ჩასმულია მინები, რომლებიც ატარებენ მზის ულტრაიისფერ სხივებს: იქაც ზამთარში ფანჯარასთან და, თუ გინდა, გაირუჯე სხეული.

სახლში ფერადი მინაპლასტიკის ავეჯია მთლიანად — მსუბუქი, ლამაზი და მოხდენილი. კედლებზე გაკრულია მინის შპალერი, რომელიც არ გაცვდება და არ დასჭირდება შეცვლა, მტვერსა და ჭუჭყს ადვილად ჩამორეცხავ თბილი, საპნიანი წყლით.

იატაკზე დაფენილია მინის ქსოვილის ხალიჩები და ქაშანები; ფანჯრებზე ჩამოკიდებულია მინისგანვე მოქსოვილი გამჭვირვალე ფარდები. ყველაფერი ახარებს ასეთ ბინაში მცხოვრებთა თვალს.

იქნებ თქვენც მოგიწიოთ ამგვარ მინის სახლში ცხოვრება. ის, რაზეც ოდესღაც მხოლოდ ზღაპრებში იყო მოთხრობილი, ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად იქცევა.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# საინტერესო სიახლეები

## საღებავი ათბობს

ალბათ ყველა დაგვეთანხმება, რომ ჩვენ საცხოვრებელ ბინებს არცთუ ისე ამშვენებენ ორთქლით გათბობის ვეებერთელა ლითონის ბატარეები. ამ ამოცანის ლამაზი გადაწყვეტა წარმოადგინეს ინგლისელმა ინჟინრებმა — მათ შეიმუშავეს დენის გამტარი საღებავი კედლებისათვის. ბინა რომ გაათბო, საკმარისია ამ საღებავით კედლები შეღებო და ელექტრო ძაბვა სულ 12 ვოლტი მიუერთო სპინელძის ორ სალტეს. ამასთან საღებავი თბოენერგიასაც გამოყოფს და ამავე დროს სითბოს აკუმულატორობასაც სწევს. ამ ლამაზი თბოსაღებავის მედეგობა 40 წლის განუწყვეტელი მუშაობითაა განსაზღვრული.

## ნახშირი ქოქოსისაგან

ათასგვარი გამოყენება აქვს ქოქოსის პალმის ძირებს, ფოთლებს, ნაყოფს! კაკლის ნაჭუჭსაც კი იყენე-



ბენ სამკაულებისა და სასმისების გასაკეთებლად.

ამ ცოტა ხნის წინათ კაკლის ნაჭუჭი სრულიად მოულოდნელი სახით იქნა გამოყენებული. მისგან ხის ნახშირის გამოწვა დაიწყეს. ამ ნახშირზე მოთხოვნილება კი დღითიდღე იზრდება მსოფლიო ბაზარზე. მას სულ უფრო ხშირად იყენებენ, როგორც ნედლეულს აქტივირებული ნახშირის დასამზადებლად, რომელიც აგრერიგად აუცილებელია ქიმიური მრეწველობის ბევრ დარგში, აგრეთვე ფილტრების დასამზადებლად თამბაქოს წარმოებაში. ქოქოსის ნახშირის მოწოდების მონოპოლია ხელთ უპყრია შრი ლანკას.

## სახლი საკაერო ბალიშზე

გამოირკვა, რომ თურმე შესაძლებელია აშენდეს თბილი და მაგარი სახლები საძირკველქვეშა ქვაბულის გარეშე, რაც აგრე რიგად საჭიროა ჩრდილოეთის რაიონებისათვის. ამისათვის წინასწარ მომზადებულ მოედანს მოაყრიან წვრილ კენჭებს, იმაზე კი აფენენ პოლიეთილენის აფსკს. აფ-



სკზე ადგამენ მომავალი სახლის ზეძირკველს, შემდეგ კი პოლიეთილენს ასხამენ ბეტონის 3 დიუმის სისქის ფენას. პოლიეთილენის აფსკის ნაპირებს, რომელიც სახლის ქვემოდან ჩანს, ზეძირკვლის კედლებს აწებებენ. ახლა ისღა რჩება, რომ სახლს ირგვლივ მიწა მოაყარო და დატკეპნო. ამით სახლის საძირკვლის ამოყვანა მომთავრებულია. მთელი საიდუმლოება იმაშია, რომ პოლიეთილენის აფსკსა და ბეტონის ფენას შუა წარმოიქმნება ჰაერისა და ორთქლის ფენა, რომელიც შესანიშნავად ასრულებს თბოიზოლიატორის როლს.

## ლაზერი მინდვრად

ლაზერის სხივებს შეუძლიათ დააჩქარონ მცენარეთა ზრდა — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ავსტრალიაში ადელაიდის უნივერსიტეტის მეცნიერები. რადგან ლაზერის სხივები მცენარეებზე ძლიერად მო-



ქმედებენ, შესხივება მხოლოდ 0,01 ანდა 0,001 წამი გრძელდება. ავსტრალიელმა სწავლულებმა ბევრი საყურადღებო რამ აღმოაჩინეს. თუ ხეებს ზამთრის ღამეში გარკვეული შუალედებით დავასხივებთ, ისინი ორ-სამჯერ უფრო სწრაფად იზრდებიან. ზოგიერთ მცენარეზე, მაგალითად, შაქრის ლერწამზე დასხივება სხვაგვარად მოქმედებს: მათი ვეგეტატური პერიოდი ხანგრძლივდება და ისინი ჩვეულებრივზე გვიან ყვავილობენ. ახლა მეცნიერები ცალკეული მცენარეებისა და კვლების დასხივებიდან, მოსავლის გაზრდის მიზნით, მთელი მინდვრების დასხივებაზე გადავიდნენ.

## ერთი დირიჟაბლი ოთხისაგან

ოთხბალონიანი გიგანტური დირიჟაბლი ფრანგმა სპეციალისტებმა გააკეთეს. მას შეუძლია ასწიოს და გადაიტანოს 500 ტონა ტვირთი. ბალონები, რომელთაგან თითოეულში 250



ათასი კუბმეტრი ჰელიუმია, შეერთებულია ფოლადის ჩარჩოთი, რომელზეც დამაგრებულია 8 ხრახნიანი ძრავა, მათი ერთობლივი მუშაობის შეთანხმება ხდება მარეგულირებელი სისტემით.

## მომავალი ჭადრაკისათვის

პრაღის პედაგოგიურმა გამომცემლობამ ახლახან გამოსცა ჭადრაკის სახელმძღვანელო ბავშვებისათვის. ცხადია, წიგნი დაწერილია ძალზე მარტივად. ამას გარდა ტექსტში ჩართულია უამრავი ლექსი, რომლებიც ეხმარებიან ბავშვებს დაიმახსოვრონ საჭადრაკო ფიგურების სვლები და თამაშის ძირითადი წესები.

## როცა ხმაურს სარგებლობა მოაქვს

მეცნიერებმა, ამ ცოტა ხნის წინათ, შეამჩნიეს მეტად საინტერესო ფაქტი. აეროდრომების მახლობ-

## საინტერესო სიახლენი

ლად შაქრის ჭარხალი გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სხვა ადგილებში. როგორც გამოირკვა, ამ სწრაფი ზრდის მიზეზი გახლავთ — რეაქტიული ძრავების გუგუნი. ეს განსაკუთრებით საგრძნობი ხდება თესლის გაღივების დროს. რადგან ძლიერი ბგერითი რხევებისაგან მისი დამცველი აფსკი სკდება და ჟანგბადს უფრო ინტენსიური ზემოქმედების საშუალება ეძლევა.

ჭარხალზე განსაკუთრებით ძლიერად მოქმედებს რხევა, რომლის სიხშირეა 200-დან 2000 ჰერცი, სიმძლავრე კი 100 დან 110-დეციბალი.

### მათთვის, ვინც ზღვაშია

მაშველ ნავში მტკნარი წყლის მარაგი ყოველთვის დეფიციტურია. იაპონელი ექიმი მასაო გუგა ამტკიცებს, რომ ამ მარაგის გადიდება შეიძლება თუ მასში შევურევთ ზღვის წყალს ასეთი შეფარდებით 2:1. სწავლული ათი წლის მანძილზე ატარებდა დაკვირვებებს. წყნარ ოკეანეში ცდიდა ამ ნაერთს საკუთარ თავზეც და მეთევზე-მოხალისეებზეც. დაბოლოს, მასაო გუგა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ზღვის მლაშე წყლის შედარებით მცირე დამატებები, არამარტო ადიდებენ ხიფათში ჩავარდნილი ადამიანების სასმელი წყლის მარაგს, არამედ გარკვეული სარგებლობაც კი მოაქვთ მათი ორგანიზმისათვის.

### კიდევ ერთი პროფესია

გარემო სამყაროს გაჭუჭყიანებისა და ხმაურისაგან დაცვის პრობლემებზე აქამდე რამდენიმე სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლები მუშაობდნენ: ბიოლოგები, გეოგრაფები, არქიტექტორები, ეკონომისტები და სხვა. გასულ წელს დასავლეთ ბერლინის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გახსნეს ახალი ფაკულტეტი, რომელიც მოამზადებს „გარემოს ტექნიკური დაცვის ინჟინრებს". პროგრამით გათვალისწინებულია სპეციალიზაცია ოთხი მიმართულებით: წარმოების ნარჩენების მოშორება, ჰაერის სისუფთავის უზრუნველყოფა, წყლების გაჭუჭყიანებისაგან დაცვა და მათი გაწმენდა, ბრძოლა ხმაურთან. განსაკუთრებულად ყურადღება გამახვილებულია საავტომობილო ტრანსპორტო მაგისტრალებისა და ინდუსტრიული საწარმოების განლაგებაზე. ყველა ამ თემაზე წაიკითხება სპეციალური საგნების კურსები და შესრულდება საპროექტო სამუშაოები.

# სარჩევი


მ. ხერგიანი — ქოჩორამუხელთა შრომითი საქმეები (ნარკვევი) გარეკ. . . . . . 11
შენი პიონერული წვლილი, შენი რესპუბლიკის ცხოვრების წინსვლაში . . . . . . . . 3
ნ. აფხაზავა — Cogito, ergo sum! (ფანტასტიკური მოთხრობა) . . . . . . . 5
ს. შამფრიანი — აქეთკენ მუდამ მოუხარიათ (ნარკვევი) . . . . . . . . 10
კ. დევდარიანი — ახალი გზები (ნაწყვეტი რომანიდან). . . . . . . . . 13
გ. შატბერაშვილი — მერცხლის ბუდე (მოთხრობა) 18
გ. ტაბიძე — პიონერული (ლექსი) . . . . 20
ზ. შერაზადიშვილი — ბალჩის ბურთები (ლექსები) 22
ახალი წიგნები . . . . . . . 23
„აისი" . . . . . . . . 24
იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს? . . . . . . . 26
გ. თოფაძე — სამკუთხა რიცხვები (წერილი) . 28
თ. წულუკიძე — ძაფი უჩინმაჩინი (წერილი) . 29
საინტერესო სიახლენი . . . . . 31
ცხრაკლიტული . გარეკ. . . . . 3


გარეკანის მხატვრობა რევაზ ცუცქირიძისა.


საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-06 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/VI-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VIII-76 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 2148. ტირ. 144.570. უე 09843.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



© „პიონერი", 1976 წ.



## ეშმაკი კურდღელი

კურდღელი ზარმაცი, მაგრამ ეშმაკი იყო. უმოკლესი გზით მიაღწია თითოეულ სტაფილომდე და შეჭამა ყველა 50. იგი აქეთ-იქით როდი დარბოდა, შემოხაზული მოედანი მხოლოდ სამჯერ გადაჭრა, მაგრამ ისე, რომ ყველა სტაფილო გზაზე დახვდა.

ს ხ ვ ა გ ვ ა რ ა დ რომ ვთქვათ, ამოცანა ასეთია: ქაღალდზე ხელის აუღებლად გაავლე სამი სწორი ხაზი ისე, რომ ყველა სტაფილო გადაკვეთოს.



## დაბნეული მხატვარი

დაბნეულმა მხატვარმა სულ აურ-დაურია ყველაფერი. იქნებ შენ მიხვდე, რომელი დეტალი სად არის ზედმეტი და ყოველ საგანს თავისი ნაწილი დაუბრუნო.



## ამოცანები

### მაღაზიაში

რძის მაღაზია ის-ის იყო უნდა დაკეტილიყო, რომ გამყიდველთან სამი დაგვიანებული მუშტარი მივიდა. ერთმა მოსთხოვა: მომეცი რაც დაგრჩა, იმის ნახევარი და კიდევ ნახევარი ბოთლიო. მეორემ იყიდა დარჩენილი ბოთლების ნახევარი და კიდევ ნახევარი ბოთლი. მესამეს ერთმა ბოთლმა მოუწია. რამდენი ბოთლი რძე ყოფილა მაღაზიაში?

### გაგა და წინდები

გაგა სამგზავროდ მიემართებოდა. ადრე ადგა — ჯერ კიდევ ბნელოდა, ყველაფერი წინასწარ მოემზადებინა, ოღონდ, წინდები სულ გადავიწყებოდა. გაგამ იცოდა, რომ კარადის უჯრაში ხუთი წყვილი წითელი და ხუთი წყვილი შავი წინდა ეწყო. შუქი არ აუნთია — დედა არ გავაღვიძოო და ისე, ხელის ცეცებით ამოიღო უჯრიდან ექვსი ცალი წინდა. ექვსი იმიტომ ამოიღო, რომ დარწმუნებული იყო, ამ ექვსიდან ერთი წყვილი მაინც ერთი ფერისა იქნებაო. აბა, სხვადასხვა ფერის წინდებს ხომ არ ჩაიცვამდა და არ აახარხარებდა ბიჭებს!

როგორ გგონიათ, იმისათვის, რომ ერთი წყვილი ერთფეროვანი წინდა შეხვედროდა, გაგას აუცილებლად ექვსი წინდა უნდა ამოეღო?

## გამოცანები

1. დაიქუხეს, ცაში
ცეცხლის
ყვავილები ცვივიან,
ყვავილებში უამრავი
ნაირფერი სხივია.

2. ხნული არ არის —
ფარცხავენ,
არც ბოსტანია —
რწყავენ.
აიტალღება — არ არის
იგი ჯეჯილი მწვანე.

3. მუდამ ნაპირს ეხეთქება
მრისხანების ქაფით,
სულ მოძრაობს,
მიდის, მოდის
და ვერ გასცდა ნაპირს.

გიორგი შეთეკაური.

## პასუხი № 7-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### კროსვორდი

თარაზულად: 1. მარაო; 3. ლილო; 5. მუმუ; 7. თერგი; 9. ცვარი; 11. ოდერი; 13. ონეგი; 14. ატამი; 17. ისანი; 18. ტაიგა; 19. არმია; 21. კიტრი; 23. ქიმია; 25. საარი; 27. არშია; 28. გორი; 29. გამა; 30. რითმა.

შვეულად: 2. იაპონია; 4. ზარმაცი; 6. ეთერი; 8. რიონი; 10. დალტონი; 12. მოცარტი; 14. არალი; 15. მორუა; 16. ირანი; 20. არიკა; 22. სიონი; 24. სიცილია; 26. სანგამი.

### ამოცანა

1, 3, 9, 27, 81.

ДЕКС 76157

ს. 41/1979.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოტოეტიუდი ვ. ბორისენკოსი.